პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 92 (9868) | კვირა, 18 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. — **დ. ტროშინი.** — მარქსისტულ-ლენინური პარტიის თეორიული საფუძვლები (მე-2 და მე-3 გვერდი).
განუხრელად განვახორციელოთ XII ყრილობის გადაწყვეტილებები (მე-2 გვერდი).
რა იწვევს საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენას (მე-2 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-2 გვერდი).
ფელეტონი. — **გ. შუბიძე, ა. სეირანიანი.** [illegible] (მე-3 გვერდი).
დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის [illegible] ლობა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში. **ა. ი. ვიშინსკის სიტყვა** (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშოდ მოვემზადოთ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის

ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების წინაშე განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში. ეს იმითაც აიხსნება, რომ საქართველო სსრ კავშირში ჩაის წარმოების ძირითად რესპუბლიკას წარმოადგენს.

არ შეიძლება შევანელოთ ყურადღება, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე, — ჩაის მოყვანისადმი. უკანასკნელი წლების მანძილზე გამოყვანილია საბჭოთა კავშირის ჩაის კარგი ჯიშები. მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩაის წარმოების მიღწეული დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მთთხოვნილებას მასობრივი მოხმარების ამ პროდუქტზე. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ჩაის ფოთლის გადამუშავების გაუმჯობესების გზით.

ამ ამოცანის წარმატებით განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მომზადებული შეეხვდებით ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის სეზონს. უკვე დადგა სეზონისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი. ახლა თვითეული დღე, თვითეული საათი მეტად ძვირფასია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა წელს, როცა გაჭიანურებული ზამთრის გამო საგაზაფხულო სამუშაოთა აგროტექნიკური ვადები ძლიერ შემოკლდა.

როგორც ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადებასა და სხვა სამუშაოებში სერიოზული ჩამორჩენაა. ქობულეთის რაიონის ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქის პირველი დოზის შეტანა შეუწყნარებლად გაჭიანურეს. მიუხედავად იმისა, რომ აზოტის შეტანის ვადა 10 აპრილი იყო, დღესაც დავალება ამ დარგში არ არის შესრულებული. მთელ რიგ კოლმეურნეობებში აკლიათ ჩაის საკრეფი კალათები, გოდრები, ბრეზენტები. სოფელ კვირიკეს შვირნიკის სახელობის, სოფელ აჭის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციებში თავშესაფარი ფარდულების მშენებლობისათვის თავს არ იწუხებენ.

ჩაის ფართობების შემდგომი გადიდება და მოსავლიანობის ამაღლება უფრო მწვავედ აყენებს ჩაის პლანტაციებში სამუშაოთა მექანიზაციის საკითხს. ამ მხრივ ჩაის რაიონებში სერიოზული ნაკლოვანებანია. მაგალითად, გალის რაიონში ჩაის პლანტაციებში ძლიერ ნელა ინერგება მექანიზაცია. მეჩაიეებს აკლიათ კულტივატორები, ხუთკორპუსიანი გუთნები და სხვ. ჩაის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ განხორციელებისათვის რაიონებს არადამაკმაყოფილებლად ეხმარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ახალი პლანტაციების გაშენების დავალება პირველ მაისამდე უნდა შესრულდეს. ეს სამუშაო დაემთხვა ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადებას. ამიტომ საჭიროა გადამწყვეტი ზომები მიეიღოთ გეგმის მთლიანად შესრულებისათვის, დაუყოვნებლივ უნდა დავამთავროთ ჩაის პლანტაციებში აზოტის შეტანა, პლანტაციებში სარეველების გამოჩენისთანავე შევუდგეთ თოხნასა და კულტივაციას, ფართოდ დავნერგოთ მექანიზაცია.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, კოლმეურნე ახლავე უზრუნველვყოთ ჩაის საკრეფი კალათებით, გოდრებით, სასწორებით. სეზონისათვის მზადებაში ერთ-ერთი დიდი ნაკლია ისიც, რომ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს დღემდე არ იცნობენ კოლმეურნეობები, ბრიგადები, რგოლები, კოლმეურნეები. დროა ამ საკითხით დაინტერესდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები.

ნედლეულის მიღება-გადამუშავებისათვის ჩაის ფაბრიკების სანიმუშოდ მომზადებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. წელს შარშანდელთან შედარებით ფაბრიკების მუშაობაში ახალი ის არის, რომ ყველა ფაბრიკის ცენტრალურ პუნქტში და ზოგიერთი პერიფერიის ნედლეულის მიმღებ პუნქტებში მოეწყობა ჩაის ხარისხის განმსაზღვრელი ლაბორატორიები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩაის ხარისხის ამაღლებას. მიმდინარეობს მახარაძის პირველი, სუფსისა და წალენჯიხის მეორე ფაბრიკების რეკონსტრუქცია. ისინი წელსვე გადავლენ მწვანე ბაიხის ჩაის გადამუშავებაზე.

ახალი სეზონისათვის ორგანიზებულად ემზადებიან ნაბაკევის, ხუცუბნის, ხობის, ქობულეთის ჩაის ფაბრიკები. მაგრამ საერთო მდგომარეობა დამაფიქრებელია. ფაბრიკებში ძალოვანი ძრავების, ორთქლის ქვაბების, სახმობი ღუმელების რემონტის დავალება დღემდე არ არის შესრულებული. ბევრგან სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საცხოვრებელი ბინებისა და ფაბრიკების მთავარი კორპუსების რემონტი. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ზუგდიდის პირველი, ჩოხატაურის, ჩაქვის პირველი ფაბრიკების შესახებ. ცხადია, ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა, საქართველოს ჩაის ტრესტი უკეთ რომ ხელმძღვანელობდეს ჩაის ფაბრიკების მომზადებას სეზონისათვის.

ჩაის ფოთლის კრეფისა და ნედლეულის გადამუშავების სეზონისათვის მზადებაში მთელი რიგი კოლმეურნეობების, რაიონების, ფაბრიკების სერიოზული ჩამორჩენის მიზეზები უწინარეს ყოვლისა ამ დიდი მნიშვნელობის საქმისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებში, სოფლად ჯერ კიდევ ცუდ ორგანიზატორულ მუშაობაში უნდა ვეძიოთ.

ამოცანა ის არის, რომ სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შემოქმედებითად გააძლიერონ ბრძოლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშაკებთან ერთად უმოკლეს ვადაში სრულყოფილად აამოქმედონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები, მოწინავეთა დონემდე აიყვანონ ჩამორჩენილები და წელსვე მიაღწიონ ჩაის მოსავლიანობისა და ხარისხის მკვეთრად ამაღლებას.

ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვიბრძოლოთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის!

მაქსიმალურად, გონივრულად გამოვიყენოთ მთელი ძალები და შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის ფოთლის კრეფისა და ნედლეულის გადამუშავების მოახლოებულ სეზონს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ა. ემელიანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. ნ. ა. ემელიანოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და 1917 წელს პროლეტარული რევოლუციის წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ემელიანოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 16 აპრილი.

საწარმოებსა და დაწესებულებებში მორიგეობის შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო დადგენილება საწარმოებსა და დაწესებულებებში მორიგეობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საწარმოებსა და დაწესებულებებში ხდება მუშა-მოსამსახურეთა არასწორად ჩაბმა მორიგეობაში სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ და ღამით. მორიგეობას ავალებენ დედებს, რომლებსაც 12 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ და ორსულ ქალებს.

მორიგეობაში ჩაბმულ მუშაკებს ესპობათ ნორმალური დასვენების საშუალება, მცირდება მათი შრომისუნარიანობა.

ზედმეტი მორიგეობის აღმოსაფხვრელად საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ გადაწყვიტა, რომ მუშა-მოსამსახურეთა მორიგეობა საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, გამოსასვლელ და უქმე დღეებში შეიძლება შემოღონ განსაკუთრებულ შემთხვევებში და მხოლოდ საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით; შეუწყნარებელია მუშაკის ჩაბმა მორიგეობაში უფრო ხშირად, ვიდრე თვეში ერთხელ.

მორიგეობის ან მუშაობის ხანგრძლივობა მორიგეობასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო დღის ნორმალურ ხანგრძლივობას.

გამოსასვლელ და უქმე დღეებში მორიგეობისათვის მუშაკს კომპენსაცია ეძლევა უანლესი 10 დღის განმავლობაში იმავე ხანგრძლივობის დასვენებით, როგორი ხანგრძლივობითაც მორიგეობდა. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ვალდებულებებს ასრულებენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). **ბარიტის ქარხნის კოლექტივი მაღალი მაჩვენებლებით ასრულებს საპირველმაისო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. გასული თვის გეგმა აქ 120 პროცენტით შეასრულეს და აპრილში კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ.**

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სტახანოველები შ. ბაკრაძე, ნ. ტალახაძე, შ. კაჩიბეგოვი და სხვები, რომლებიც გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

სტახანოვურ ვახტზე

სტალინირის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ჩაება რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ქარხნის კოლექტივი ყოველდღიურად აძლიერებს მუშაობის ტემპს და გადაწყვეტილი აქვს ახალი საწარმოო მიღწევებით შეხვდეს მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა სეიფების დამამზადებელი საამქრო. საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ბრიგადას, რომელსაც ბ. გაგლოევი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ პირველი კვარტალის დავალება 170 პროცენტით გაანადა, ხოლო აპრილში 175-180 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმებს. (საკ. კორ.).

მევაგონეთა გადაწყვეტილება

ხაშური. (საკ. კორ.). **სავაგონო დეპოს კოლექტივი ენერგიულად ემზადება დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის. მევაგონეებმა ვალდებულება აიღეს პირველი მაისისათვის შეასრულონ ხუთი თვის დავალება, გეგმის გადამეტებით კაპიტალური შეკეთებიდან გამოუშვან ორი ვაგონი, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.**

ხარატმა მ. მთვარელიძემ იკისრა ორმაგად შეასრულოს აპრილის დავალება და ყველა გოგორწყვილი გაჩარხოს მაღალხარისხოვნად. ზეინკალმა ხ. ჭიტიაშვილმა ვალდებულება აიღო 200 პროცენტით გაანადოს საწარმოო გეგმა და დაზოგოს 5 კილოგრამი ჭანჭიკი და მოქლონი. მევაგონეები ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, რათა პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, საშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მაღალი ხარისხის პროდუქცია.

მეტი საშენი მასალისათვის

აჯამეთ-კვახჭირის სამშენებლო-ტექნოლოგიური კირქვის კარიერების კოლექტივი იბრძვის დღესასწაულის ღირსეულად აღნიშვნისათვის.

წარმოების კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და აპრილში ყოველდღიურ დავალებებს 115-120 პროცენტით ანაღდებს. მან ერთ კვირაში შეასრულა დეკადური პროგრამა.

სტახანოველებიდან განსაკუთრებით კარგად მუშაობენ გ. დოლონაძე, ა. ქათამაძე, მ. შველიძე.

კოლექტივის ვალდებულებაა 1 მაისისათვის მშენებლობებს დამატებით მიაწოდოს 1.000 კუბური მეტრი საშენი კირქვა. (საკ. კორ.).



თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის კოლექტივმა მარტის საწარმოო დავალება 127 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 12.400 მეტრი მაღალი ხარისხის ქსოვილი. ჩაება რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება აიღო აპრილის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს კიდევ 15 ათასი მეტრი ქსოვილი. სურათებზე: 1. სტახანოველი მჩეჩავი რ. არკიელიძე მუშაობის დროს. 2. ოსტატის თანაშემწე გ. გუგულაშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს მოწინავე მქსოველის ი. დიდებაშვილის მუშაობას. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჩვენ ძმები ვართ ბრძოლის დროსაც, დიდი შრომის დროსაც, ასწით მაღლა მეგობრობის, შეჯიბრების დროშა!

მახარაძის რაიონი ეჯიბრება გენიჩესკის რაიონს

მახარაძე. (საკ. კორ.). როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ამას წინათ ეწვია უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია. შრომელმა კოლმეურნეებმა ძვირფას სტუმრებს უაღრესად გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. უკრაინელმა მეგობრებმა შეამოწმეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და ახალი ვალდებულებანი აიღეს მომდინარე წელს უხვი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად.

შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შორის სოციალისტურ შეჯიბრებას მრავალი წლის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე შესანიშნავად განმტკიცდა და აღორძინდა ურთიერთდახმარება, მეგობრობა და ძმობა. ამ ორი მოწინავე კოლმეურნეობის სოციალისტური შეჯიბრება გაძლიერდა, გაფართოვდა და მთლიანად მოიცვა უკრაინისა და საქართველოს ორი რაიონის — გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელები.

ამას წინათ პარტიის მახარაძის რაიკომმა პარტიის გენიჩესკის რაიკომის მდივანს ამხ. ა. პრილიპკოს წერილი მისწერა და შეატყობინა მახარაძის რაიონის მშრომელთა ერთსულოვანი სურვილი — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება გენიჩესკის რაიონის მშრომელებთან. ამხ. ა. პრილიპკომ აღმაფრთოვანებელი პასუხი მოიწერა. იგი იტყობინება, რომ გენიჩესკელები მზურალად იწონებენ მახარაძელთა წინადადებას და ერთსულოვნად ეგმეგბიან პატრიოტულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

12 აპრილს შედგა პარტიის მახარაძის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე მოწინავე კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კ. პ. მახარაძის რაიკომის მდივნის ამხ. შ. ჭანუყვაძის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების მომდინარეობისა და თებერვალ-მარტის პლენუმის შედეგების შესახებ. ამ საკითხის გამო პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

შემდეგ პლენუმმა განიხილა გენიჩესკის რაიკომის მდივნის ამხ. ა. პრილიპკოს სპასუხო წერილი. ამასთან დაკავშირებით პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. მახარაძის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. თოხაძის მოხსენება უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონთან სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

პლენუმზე წაკითხულ იქნა მახარაძის რაიონის მშრომელთა მიმართვა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და მექანიზატორებისადმი.

პლენუმმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს მიმართვის ტექსტი და პირობა დადეს, რომ გააძლიერებენ შრომას სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 15 აპრილის ცნობებით)

რაიონები	სულ გასაფხულის კულტურების თესვის გეგმის შესრულება %-ობით	მ. შ. საკვები კულტურები				სასილოსე კულტურები
		ნათესი ბაღახები				
		მრავალწლიანი	ერთწლიანი	საკვები ძირხვენები		
ახალქალაქის	—	—	—	—	—	—
ბოგდანოვკის	—	—	—	—	—	—
ახალციხის	15.9	12.5	25.0	0.3	0	
ადიგენის	—	—	—	—	—	—
ასპინძის	20.9	10.8	0	0	0	
ხაშურის	16.6	2.7	14.2	21.8	0.3	
ქარელის	26.6	16.5	18.7	9.2	0	
გორის	24.5	36.9	0	16.3	0.8	
კასპის	35.9	17.6	23.1	26.4	0	
ბორჯომის	4.3	6.0	—	0	0	
წალკის	5.0	0	0	0	0	
დუშეთის	10,3	6.4	0	0	0	
თეთრი წყაროს	12.0	17.5	40.0	3.1	0	
თიანეთის	—	—	—	—	—	
ყაზბეგის	—	—	—	—	—	
გურჯაანის	28.3	2.8	2.3	66.2	3.2	
ყაჯრეთის	30.9	69.6	24.0	0.9	0	
სიღნაღის	20.6	23.0	21.8	13.0	13.2	
წითელ-წყაროს	28.7	25.0	22.9	0	40.1	
თელავის	10.1	11.5	0.4	19.1	2.5	
ახმეტის	17.3	12.0	11.5	27.2	0	
ყვარლის	23.7	29.0	44.5	27.2	4.6	
ლაგოდეხის	7.8	—	4.0	13.3	0	
გარეჯის	45.4	14.0	15.2	42.8	10.2	
მცხეთის	35.2	43.0	20.0	63.4	12.2	
გარდაბნის	28.1	6.0	0	90.0	8.2	
მარნეულის	14.4	59.7	9.0	68.3	12.8	
ბოლნისის	27.3	6.7	0	14.5	8.9	
საგარეჯოს	25.6	1.1	6.0	16.4	16.3	
დმანისის	3.7	0	0	0	0	
სანხ. ოსეთის ავტ. ოლქი	12.0	1.6	0	2.7	0	
აბაშის	4.2	0	9.4	2.0	11.5	
ცხაკაიას	1.5	0	0	0	0	
გეგეჭკორის	3.4	0	0	0	0	
ზუგდიდის	0.5	0	0	0	0	
ხობის	0.6	0	0	0	0	
წალენჯიხის	1.6	0	0	0	0	
ჩხოროწყუს	1.8	0	0	0	0	
მაზარაძის	0	0	0	0	0	
ლანჩხუთის	2.0	0	6.7	0	0	
ჩოხატაურის	3.2	0	0	0	0	
ფოთის	1.5	—	0	0	0	
ქუთაისის	22.7	14.0	26.8	14.7	5.6	
წყალტუბოს	17.4	—	17.8	4.0	20.0	
სამტრედიის	8.6	38.0	5.2	10.0	0	
წულუკიძის	8.0	54.0	0	18.0	0	
ვანის	18.5	0	13.7	32.0	13.0	
მაიაკოვსკის	5.6	0	0	0	0	
ზესტაფონის	16.4	0	0	0	0	
თერჯოლის	8.4	0	31.5	100.0	13.9	
ჭიათურის	5.6	—	—	—	1.6	
საჩხერის	4.0	—	1.6	—	0	
ორჯონიკიძის	8.4	2.0	0.5	0	1.0	
ტყიბულის	19.8	—	—	—	—	
ონის	—	—	—	—	—	
ამბროლაურის	—	—	—	—	—	
ცაგერის	—	—	—	—	—	
ლენტეხის	2.5	—	—	—	—	
მესტიის	—	—	—	—	—	
ქლუხორის	—	—	—	—	—	
აფხაზეთის ასსრ	1.5	5.5	2.3	0	0	
აჭარის ასსრ	5.0	1.6	20.8	11.7	0	
სულ რეს-პუბლიკაში	10.8	11.8	8.8	13.6	4.4	

დაჯილდოება ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 24 თებერვლის ბრძანებულებით ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკთა დიდი ჯგუფი, მათ შორის ლენინის ორდენით: სადნობი საამქროს ოსტატი მ. ვაშაკიძე, მექურე ა. კვინიკაძე, № 4 საამქროს უფროსი მეაბაზანე ნ. ლუტიძე. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან სადნობი საამქროს უფროსი კონტროლიორი ა. მურღულია, მდნობელები ნ. ბოგვერაძე, ი. გიორგაძე, ი. ჯუღელი, ლ. ჭანტურიძე, პ. კლიმენკო, ქ. ქოჩიაშვილი, მარგანეცის საამქროს უფროსი კონტროლიორი ვ. გვალია და სხვ., სულ 20 კაცი. მედლით შრომითი მამაცობისათვის დაჯილდოებულია 16, ხოლო მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 51 კაცი.

კოლმეურნეობები იძენენ ავტომანქანებს

ტყიბული. (საკ. კორ.). კოლმეურნეობები მეცხოველეობის პროდუქტების ნამეტის ჩაბარებისათვის სახელმწიფოსაგან ავტომანქანებს იღებენ.

ახალსოფლის გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ გასულ წელს სამჯერ ამაზე მეტი ხორცი ჩააბარა, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. ხორცის ნამეტის დიდი რაოდენობით ჩაბარებისათვის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსაგან მიიღო ახალი მსუბუქი ავტომანქანა. სოჩხეთის კოლმეურნეობას, რომელმაც ჩააბარა ხორცის ნამეტი 7.346 კილოგრამი, კოოპერაციამ მიჰყიდა თვითსაცალი ავტომანქანა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის ჩაბარებისათვის კოოპერაციამ ავტომანქანები მიჰყიდა აგრეთვე კოკისა და ცუცხვათის კოლმეურნეობებს.

ჯილდოს პასუხად

ბოლჯომი. („კომუნისტის“ კორ.). ჩითახევჰესის კოლექტივმა თებერვალში მნიშვნელოვანი შრომითი წარმატება მოიპოვა: 103,5 პროცენტით შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების თვიური გეგმა, საკუთარ მოხმარებაზე 9,6 პროცენტით შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯვა, რის შედეგადაც რამდენიმე ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა სახელმწიფოს, 150 პროცენტით იქნა შესრულებული ფერადი, ხოლო 102 პროცენტით შავი ლითონის ჩაბარების სახელმწიფო დავალება.

შესანიშნავი შედეგი მოჰყვა ჰიდროელექტროსადგურის ავტომატიზებულ მართვაზე გადაყვანას. 103 კაცის ნაცვლად სადგურს ახლა მომსახურებას უწევს მხოლოდ 72 კაცი.

ამ წარმატებების შედეგად ჩითახევჰესის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიეკუთვნა სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტროენერგეტიკული სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივმა, რომელიც ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება აიღო 105 პროცენტით შეასრულოს ელექტროენერგიის გამომუშავების აპრილის გეგმა, 10 პროცენტით შეამციროს ელექტროენერგიის ხარჯვა საკუთარ მოხმარებაზე და სამშობლოს მისცეს ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება.

40 ათასი ნეშომპალის ქოთანი

გურჯაანი. (საკ. კორ.). სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას შარშან ბოსტნეული კულტურები 2,5 ჰექტარზე ეთესა, წელს კი ათ ჰექტარზე თესავენ.

მებოსტნეობის ბრიგადამ, რომელსაც აგროტექნიკოსი გ. რუაძე ხელმძღვანელობს, უკვე დაამთავრა საადრეო კულტურების — ხახვის, ნიორის და სხვ. თესვა. კვალსათბურებში გამოსულ პამიდორის ჩითილებს მალე ნეშომპალის ქოთნებში გადაიტანენ და გადარგვამდე სათბურში შეინახავენ. ქოთნებში ჩათესილია კიტრი და საზამთრო.

ჩუმლაყის კოლმეურნეობას გეგმით 5.000 ცალი ნეშომპალის ქოთანი უნდა დაემზადებინა. მზად არის 15.000 ცალი. დამატებით დაამზადებენ 25.000 ცალ ნეშომპალის ქოთანს.

სიმინდის თესვა

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის თესვა გაჩაღდა. სოფელ ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში ხუთივე ბრიგადა შეუდგა ამ სამუშაოს.

ეკელი კოლმეურნეები, რომლებიც ჩაბმული არიან საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დღიურ ნორმებს.

სიმინდის თესვა დაიწყეს ფოცხოს სტალინის სახელობის, ლეძაძამის სტალინის სახელობის, ბეთლემის ცხაკაიას სახელობის, ზანის ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა. მოწინავე კოლმეურნეთა ვალდებულებაა 1 მაისამდე დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა.

ს. კუჭავა.

ჰიდროელექტროსადგური მეცხოველეობის ფერმებისათვის

პარტიის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილების შემდეგ წითელწყაროს რაიონში გაძლიერდა საკოლმეურნეო ნაგებობათა, განსაკუთრებით მეცხოველეობის კულტურული სადგომების მშენებლობა. აიგო მრავალი ტიპური ბინა, ზოგიერთი მათგანი უზრუნველყოფილია კომპლექსური მექანიზმებით. ბევრგან მიმდინარეობს მექანიზმების დამონტაჟება. მარტო ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ორი მექანიზებული ფერმაა.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ფერმების ახლოს ალაზნის არხზე ააშენოს პატარა ჰიდროელექტროსადგური, რომელიც დააკმაყოფილებს ფერმების მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

ამჟამად მიმდინარეობს პირველადი სამუშაოები.

განუხრელად განვახორციელოთ XII ყრილობის გადაწყვეტილებები

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე

ამას წინათ დამთავრდა საკავშირო ალკკ XII ყრილობა, რომელმაც კომკავშირის წინაშე დასახა დიდი ამოცანები ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და სახელმწიფო მშენებლობაში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, კომკავშირის ყველა რგოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ყრილობის შედეგების განხილვას მიეძღვნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმი, რომელმაც მოისმინა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. თ. ჯანელიძის მოხსენება.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საკავშირო ალკკ XII ყრილობის გადაწყვეტილებანი, საქმიანად იმსჯელა მათი პრაქტიკულად განხორციელების ამოცანებზე. როგორც მომხსენებელი, ისე კამათის მონაწილენი, ლაპარაკობდნენ რა ყრილობის შედეგებზე, ვრცლად ეხებოდნენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, აკრიტიკებდნენ მის სერიოზულ ნაკლოვანებებს. ისინი ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ კომკავშირელები, ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია სოფლის მეურნეობისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობისაკენ. ამის ნათელი მაგალითია რესპუბლიკის ახალგაზრდობის წასვლა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებლად და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე. მაგრამ ბევრი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის დონე ჩამორჩა ცხოვრებას, არ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნებს. ზოგან არ გრძნობენ პასუხისმგებლობას საწარმოს, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის ნაკლოვანებებისათვის, სუსტად უნერგავენ ახალგაზრდობას სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაცვის, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ჩვევებს. საკმარისია ითქვას, რომ შარშან 3.400 ახალგაზრდა მუშა სოციალისტურ შეჯიბრებაში არ იყო ჩაბმული. ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ნაკლებად იბრძვის წარმოებაში ახალი მეთოდების დანერგვისა და მოწინავე ტექნიკის ათვისებისათვის.

უკანასკნელ ხანებში კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რამდენიმე დადგენილება ახალგაზრდა ნოვატორთა წამოწყების მხარდაჭერისა და გავრცელების შესახებ, მაგრამ კომკავშირულმა ორგანოებმა ბევრგან დავიწყებას მისცეს ისინი. თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ აღნიშნა, რომ ლითონკონსტრუქციების ქარხანაში და ქარხანა „დაზგაში“ ხშირია ახალგაზრდობის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის, გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევები. ამის შესახებ ბევრჯერ ითქვა, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის აღმავლობაში რესპუბლიკის ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხებს. ილაპარაკეს რა ამ საქმეში არსებულ წარმატებებზე, მომხსენებელმა და კამათში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კომკავშირის სასოფლო რაიკომების მუშაობის დონე ჯერ კიდევ დაბალია. ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას ბევრგან ცვლიან სასხდომო ფუსფუსით, თათბირების მოწვევით, მრავალი დადგენილების მიღებით.

პლენუმმა იმსჯელა სკოლაში კომკავშირის მუშაობის საკითხზე. ამ მხრივ მიღწეული ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ისინი თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მაღალი აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის განმტკიცების ამოცანებისაგან მოწყვეტით. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა მოსწავლეები უწესოდ იქცევიან სკოლაში, ეზოში, შობლებთან, მასწავლებლებთან.

შომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს ახალგაზრდობის იდეური აღზრდის ნაკლოვანებები. პოლიტიკურ სწავლებაში აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი, დოგმატურობა; წაკითხული ლექციების რაოდენობა და იდეური დონე არ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნებს. ჯაბუკებისა და ქალიშვილების იდეურ აღზრდაში დიდი როლი ენიჭება ლიტერატურასა და ხელოვნებას. მაგრამ შემოქმედებითი მუშაკები ჯერ კიდევ არ გამოხმაურებიან საქართველოს კომკავშირის XX ყრილობაზე მათი მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს.

პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობის სტილი და მეთოდები. აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების მდივნებმა გ. ჭაჭიამ და ნ. თენიეშვილმა, აგრეთვე სხვებმა აღნიშნეს, რომ კომკავშირული ორგანოები ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ბიუროკრატიულ-კანცელარიული, კაბინეტური მუშაობის ჩვევებისაგან, ადგილებზე გზავნიან ბევრ დადგენილებასა და დირექტივას, მოითხოვენ მრავალ მოხსენებით ბარათსა და ცნობას, რაც კომკავშირულ აპარატს, აქტივს წყვეტს ცოცხალი პრაქტიკული საქმიანობისაგან. ზოგიერთი ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობის პრაქტიკაში ფეხი მოიკიდა ფორმალიზმმა, მოჩვენებითმა საქმიანობამ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. გოცირიძე.

„კომუნისტის“ და რაიონული გაზეთების რეიდი

რა იწვევს საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სოფლად დიდი მუშაობაა გაჩაღებული. გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობებისადმი.

ქობულეთელებმა წელს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, ნიადაგში ფოსფოროვანი სასუქების შეტანა და ბუჩქების გასხვლა-გაფორმება უკვე დაამთავრეს. ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო გაშენების დავალებაც განაღდებულია. მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის ყველა რეზერვი საგაზაფხულო სამუშაოების მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ჭიანურდება ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქის პირველი დოზის შეტანა. 10 აპრილისათვის 2.559 ჰექტარიდან ეს სამუშაო შესრულებული იყო მხოლოდ 909 ჰექტარზე. ეს ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან აზოტოვანი სასუქით. 5.600 ტონის ნაცვლად რაიონში შემოზიდულია 2.200 ტონა აზოტი.

მტს-ის პარკი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით შეივსო. მიღებულია ჩაის სასხლავი 12 ახალი მანქანა, რომლებიც ამავე დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ნიადაგში სასუქების შეტანისა და გაფხვიერებისათვის. მაგრამ ეს მანქანები მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული. ლეღვას მიქოიანის სახელობის, ალამბრის ანდრეევის სახელობის, გვარას მიხაილოვის სახელობის, დიმიტროვკის მარქსის სახელობის, ქობულეთის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები რატომღაც ნაკლებ ინტერესს იჩენენ პლანტაციებში მექანიზაციის განხორციელებისადმი.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რაიონში დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადებას. აკლიათ საკრეფი კალათები და გოდრები, მომარაგებული არ არიან ბრეზენტებით. ზედა კვირიკეს შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში არ შესდგომიან ჩაის პლანტაციებში ფარდულების მშენებლობას. ასევე შეიძლება ითქვას ქვედა კვირიკეს კიროვის სახელობის, გვარას მიხაილოვის სახელობის, აჭის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებზე. არავინ ზრუნავს აგრეთვე იმისათვის, რომ ჩაის მკრეფავებს შეუძინონ საწვიმრები და სხვადასხვა ინვენტარი. ამ „წვრილმანების“ მოსაგვარებლად საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროები საჭირო ზომებს არ იღებენ.

რაიონის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ ციტრუსოვან კულტურებს. მათს მოვლა-პატრონობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა მზრუნველი ხელი. ციტრუსოვანთა პლანტაციების გადაბარვის გეგმა შესრულებულია 86,5 პროცენტით, დაწესებული ვადა კი ამოიწურა. სანახევროდაც არ არის შესრულებული ნიადაგში ნაკელის შეტანის გეგმა. ჩამორჩა ნარგავების შეწამვლა ზეთოვანი ემულსიით. 1.400 ჰექტარიდან შეწამლულია მხოლოდ 493.

არიან კოლმეურნეობები, რომლებიც შეუწყნარებლად აჭიანურებენ ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოებს. ეს პირველ რიგში ეხება შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ხ. იორდანიდი), სადაც 35 ჰექტარზე მეტი გადაუბარავია. შესრულებული სამუშაოს ხარისხიც დაბალია. გადაბარვისას ნიადაგში ნაკელი არ შეაქვთ. წამლობა გვიანდება.

— ჯერ ჩაის სამუშაოებს მოვრჩებით და ციტრუსების დამუშავებას შემდეგ შევუდგებითო, — აცხადებენ ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები. ზედა კვირიკეში დაივიწყეს ის, რომ ციტრუსების მაღალი მოსავლის ბედი სწორედ ახლა წყდება. მით უფრო, რომ ნარგავების ნაწილი მკაცრი ზამთრის გამო დაზიანებულია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოებს ასევე უგულებელყოფენ ხალას ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ ქობულეთის მალენკოვის სახელობის, ჩაისუბნის ლენინის სახელობის, გვარას მიხაილოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონის კოლმეურნეობებს წლების მანძილზე ერთწლიანი კულტურების დაბალი მოსავალი მოჰყავთ. მოსალოდნელი იყო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის შემდეგ გააძლიერებდნენ საგაზაფხულო ხვნის ტემპს. მაგრამ ასე არ მოხდა. 10 აპრილისათვის 921 ჰექტარიდან მოხნული იყო მხოლოდ 482 ჰექტარი. ამასთან კოლმეურნეობათა უმრავლესობა ახლა დაიძებს სიმინდის თესლს. სატრაქტორო პარკი მაქსიმალურად არ არის გამოყენებული მინდვრის სამუშაოებში. ვხვდებით ტრაქტორების მოცდენას.

სიმინდის თესვის დაწყების ვადად ქობულეთის რაიონისათვის დაწესებულია 5 აპრილი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნიადაგის ზედმეტი ტენიანობის გამო ეს ვადა შეუფერებელია ადგილობრივი პირობებისათვის. როგორც ჩანს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო კვლავ ძველებურად განაგრძობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგეგმვას და ანგარიშს არ უწევს ადგილობრივ კლიმატურ პირობებს.

ზოგან ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეთა შრომის მოწესრიგებას, დაბალია დისციპლინა. ქვედა კვირიკეს კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი გ. ბოლქვაძე) მარტო აპრილის პირველ დეკადაში გაცდა 137 კაცდღე. დიდი გაცდენებია ამავე კოლმეურნეობის მეორე და მესამე ბრიგადებშიც. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა როდია ზედა კვირიკეს შვერნიკის სახელობის, აჭის, ზენითის, გვარას კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობები ძირითადად უზრუნველყოფილია სპეციალისტთა კადრებით, მაგრამ მათი ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მინდობილ საქმეს. მტს-ის აგრონომი შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. თოხაძე რატომღაც საჭიროდ არ თვლის საცხოვრებლად გადავიდეს მუშაობის ადგილზე. იგი ქობულეთში ცხოვრობს. მას იშვიათად ნახავთ საკოლმეურნეო მინდვრებზე. მტს-ის ზოოტექნიკოსი ამხ. მგელაძე ბათუმიდან დადის სამუშაოზე. აეე იქცევა აგრეთვე აგრონომი ა. დვალი. ყოველდ შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ კოლმეურნეობებში დღემდე არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მომდინარე წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის. მტს-ის მუშაკები დაკმაყოფილდნენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა გაფორმებით. რაიონში დღემდე დუმილით შეჰყურებენ ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოწვევას.

მტს-ს გაფორმებული არა აქვს ტიპური ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან. საამისო ფორმები დიდი დაგვიანებით მიიღეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. ამასთან სამინისტრომ 10-15 დღის წინათ დაგზავნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების გეგმები და აგროტექნიკური ღონისძიებები. ეს ის დრო იყო, როცა სამუშაოთა დაწესებული ვადები უკვე იწურებოდა. საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში რაიონში მძიმე მდგომარეობაა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპის გასაძლიერებლად, მინდვრის სამუშაოთა ხარისხის ასამაღლებლად რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

იბრძოლე მისთვის, რომ პროდუქტების იყოს სიუხვე სოფლად, ქალაქად, რომ გუღს ატკბობდეს და ახარებდეს კოლექტიური შრომის ბარაქა!

გაზეთ „კომუნისტის“ და რაიონული გაზეთების „ქობულეთელი კოლმეურნის“ ბრიგადა: **დ. პაიჭაძე, ს. მუხაშავრია, ტ. ტრაპაიძე.**

წერილები რედაქციას ეროვნული უმუშევრობა მიზეზებული აბანი

რკინიგზის შორაპან-საჩხერის გადასარბენზე მგზავრთა მომსახურებას ყურადღება არ ექცევა. სახალხო მატარებლების მიმოსვლის განრიგი ისეა შედგენილი, რომ თბილისიდან ჭიათურა-საჩხერეში მიმავალ მგზავრებს სადგურ შორაპანში 3-4 საათს უხდებათ ლოდინი.

სადგურ შორაპნის საბილეთო სალარო საჩხერისაკენ მიმავალ მატარებელზე ბილეთებს ჰყიდის არა ადგილების რიცხვის მიხედვით, არამედ განუსაზღვრელი რაოდენობით. მატარებლის შემადგენლობა, რომელიც ჩიხში დგას, ხალხით ივსება სადგურზე ჩამოყენებამდე, რის გამო მოქალაქეებს მგზავრობა უძნელდებათ.

ამ ხაზზე სახალხო მატარებლების მოძრაობის გრაფიკსაც არღვევენ. მაგალითად, მატარებელი, რომელიც ღამის 11 საათზე ჭიათურიდან გამოდის, ვერასოდეს ვერ უსწრებს ქუთაისიდან თბილისისკენ მიმავალ მატარებელს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საბილეთო სალაროები სადგურ ჭიათურამდე ჰყიდიან რბილი ვაგონის პირდაპირ ბილეთებს, შორაპნის საბილეთო სალარო არ უცდის თბილისიდან მომავალ მგზავრებს, არც ერთ ადგილს არ უნახავს მათ და თავისი ნების მიხედვით ჰყიდის რბილი ვაგონის ადგილებს, რის შედეგად მგზავრები მთელი ღამის განმავლობაში რჩებიან უადგილოდ და სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ხშირად ღამით მატარებელში სინათლე ქრება, რასაც ბოროტმოქმედნი იყენებენ. მატარებელში სისუფთავის დაცვას ყურადღება არ ექცევა.

მგზავრებისადმი ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. რკინიგზის მუშაკების უპირველესი მოვალეობაა უკეთ და კულტურულად მოემსახურონ მგზავრებს.

გ. ჩაფიძე, ნ. ფერეთელი.

სადგურ მუხიანში უწესრიგობაა

სადგური მუხიანი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალურ ხაზზეა. მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ ეს სადგური უყურადღებოდ არის მიტოვებული და იქ ხშირია უწესრიგობის შემთხვევები.

უწესრიგობას ხელს უწყობს ის, რომ მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში და საბილეთო სალაროში არ არის ელექტროშუქი. სადგურის ხელმძღვანელები თავს იმით იმართლებენ, რომ რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ ნება არ დართო გაეყვანათ სინათლე. საკვირველია, რომ განყოფილებას ეს საქმე დღემდე არ მოუგვარებია.

სადგურში საგაზეთო ვიტრინები ფორმალურად არის, არ იცავენ სისუფთავეს, ეზო-საქონლის სათარეშოდ არის გადაქცეული. სადგურში წესრიგი უნდა დამყარდეს.

ი. კეთილაძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გურჯაანის რაიონიდან მიღებულ კორესპონდენციაში მხილებული იყო ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მუშაობის ნაკლოვანებანი და დირექტორ დ. სამნიაშვილის არასწორი მოქმედება.

პარტიკომ გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ა. დავითაშვილი გვაცნობებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა, საკითხი განხილულ რაიკომის ბიუროში და ტექნიკუმის მუშაობის გაუმჯობესებისათვის დასახა ღონისძიებანი, ხოლო სამნიაშვილს დაადო პარტიული სასჯელი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

მარქსისტულ-ლენინური პარტიის თეორიული საფუძვლები

მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა, მისი თეორიული საფუძვლები არის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ყველაზე ზოგადი კანონების შესახებ.

დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოიშვა გარემო სამყაროს მეცნიერული შეცნობის განზოგადების შედეგად, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც თავისი არსებით შემოქმედებითი მეცნიერებაა, მუდამ ვითარდება და მდიდრდება. „ჩვენი თეორია, — წერდა ენგელსი, — არის განვითარების თეორია, და არა დოგმა, რომელიც უნდა გავიზეპიროთ და მექანიკურად ვიმეოროთ“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. „რჩეული წერილები“. პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, 1947 წ., გვ. 402).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შექმნილი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი ყოველმხრივ განავითარეს ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის გენიალურ შრომას „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც 1909 წელს გამოვიდა. ამ კლასიკურ ნაშრომში ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი პასუხი გასცა მარქსიზმის ფარულ მტრებს, რევიზიონისტებს, რომლებმაც მარქსიზმის „დაცვისა“ და თითქოს მისი „შესწორების“ საჭიროების საბაბით გააჩაღეს ლაშქრობა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ, ცდილობდნენ შეეცვალათ იგი შენიღბული, დახვეწილი იდეალიზმით. ვ. ი. ლენინმა ბოლომდე ამხილა გადაგვარებულნი თეორიის დარგში და დაიცვა მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მატერიალისტურად განაზოგადა მეცნიერების, და უწინარეს ყოვლისა ბუნებისმეტყველების, ყველა უმნიშვნელოვანესი შენაძენი, რაც მეცნიერებამ მოიპოვა მთელი იმ ისტორიული პერიოდის მანძილზე, რომელიც გავიდა ენგელსის გარდაცვალებიდან ლენინის წიგნის — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გამოსვლამდე.

პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვასა და შემდგომ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის მოწაფისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ფილოსოფიურ შრომებს. ისეთი ნაშრომებნი, როგორიც არის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ და სხვები მარქსიზმის თეორიაში, ჩვენი პარტიის თეორიულ საფუძვლებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია.

მარქსისტული მეცნიერების შემოქმედებითს განვითარებაში კოლოსალური მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიის და მისი ხელმძღვანელი ბირთვის — ცენტრალური კომიტეტის მთელ თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ფასდაუდებელი იდეური განძია პარტიული ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებშიც შემოქმედებითად ვითარდება მარქსისტულ-ლენინური თეორია ჩვენი პარტიის გიგანტური რევოლუციური გამოცდილების, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის საფუძველზე.

* * *

ადამიანის აზრის უდიდესი მონაპოვარია მატერიალისტური დიალექტიკა, როგორც სამყაროს შეცნობისა და რევოლუციური გარდაქმნის ერთადერთი მეცნიერული მეთოდი. მატერიალისტურ თეორიასთან განუწყვეტელი ერთიანობით მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი შედის ჩვენი პარტიის თეორიულ საფუძვლებში. დიალექტიკა მეტაფიზიკის დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. მეტაფიზიკა რეაქციული კლასების იდეოლოგიური იარაღია, ყოველივე უძრავის, მკვდრის საფუძველია. პირიქით, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, რომელიც გარემო სამყაროს განიხილავს მოძრაობაში, განვითარებასა და ცვლილებაში, შეუთავსებელია უძრაობასთან და წარმოადგენს მუშათა კლასისა და მისი პარტიის მძლავრ იდეურ იარაღს ბუნებისა და საზოგადოების ძირეული გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

მატერიალისტური დიალექტიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს განიხილავს მათს საყოველთაო კავშირსა და ურთიერთმოქმედებაში. ამით მატერიალისტური დიალექტიკა შესაძლებლობას გვაძლევს შევიცნოთ გარემო სამყარო როგორც ერთი მთლიანობა, სადაც ყველა საგანი და მოვლენა ურთიერთშორის არის დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებს. მოვლენათა განხილვა მათს ორგანულ კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში ცხადყოფს მატერიალური სამყაროს განვითარების კანონზომიერებებს, აწესებს მოვლენათა მიზეზობრივ განპირობებულობას; გვიკარნახებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებისადმი კონკრეტულ - ისტორიული მიდგომის აუცილებლობას.

საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა საფუძვლად უდევს მეცნიერებისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას, საფუძვლად უდევს მარქსიზმის ბრძოლას ყოველგვარი დოგმატიზმის, თალმუდიზმისა და მედავითნეობის წინააღმდეგ. მარქსიზმ-ლენინიზმს მიაჩნია, რომ ესა თუ ის თეორიული დებულება, რომელიც სწორი და გამოსადეგია ერთ პირობებში, შეიძლება არასწორი და, მაშასადამე, მიუღებელი აღმოჩნდეს სხვა ისტორიულ პირობებში.

თეორიასა და პრაქტიკაში ამ დიალექტიკური დებულების გამოყენების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია.

დიალექტიკის დებულება მოვლენათა საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ორგანულად დაკავშირებულია მის სხვა უმნიშვნელოვანეს დებულებასთან — ბუნებასა და საზოგადოებაში მოძრაობისა და განვითარების შესახებ. როგორც ენგელსი აღნიშნავდა, დიალექტიკა არის მეცნიერება **ყოველგვარი** მოძრაობის ყველაზე ზოგად კანონებზე. „არსად და არასოდეს, — წერდა იგი, — მატერია არ არსებულა უმოძრაობოდ, არც შეიძლება არსებობდეს“. („ანტი-დიურინგი“, პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, 1952 წ., გვ. 71). მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია გვასწავლის განვიხილავდეთ მოძრაობას, განვითარებას როგორც ძველის მუდმივი კვდომისა და ახლის წარმოშობის პროცესს.

ძველის წინააღმდეგ ახლის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხის მასების გარდამქმნელ როლს, რომლებიც ისტორიული პროგრესის მამოძრავებელს წარმოადგენენ. მხოლოდ ხალხის მასების ბრძოლა, რომელსაც სათავეში უდგას მუშათა კლასი და მისი ავანგარდი — კომუნისტური პარტია, უზრუნველყოფს ახლის გამარჯვებას ძველზე. ამიტომ, კერძოდ, დაუშვებელი და მავნეა პიროვნების კულტი, რომელიც იწვევს პარტიის როლის დაკნინებას და ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის დაქვეითებას.

დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი კანონია უმნიშვნელო და ფარული რაოდენობრივი ცვლილებებიდან ძირეულ, თვისობრივ ცვლილებებზე გადასვლის კანონი. დიალექტიკა გვასწავლის, რომ განვითარების პროცესი, ახლის გამოჩენა და ძველის კვდომა მიდის რაოდენობრივ ცვლილებათა დაგროვების გზით, რომლებიც გარკვეულ საფეხურზე იწვევენ ძირეულ, თვისობრივ ცვლილებებს, ამასთან ერთი თვისების გადასვლა მეორეში მუდამ ხორციელდება ნახტომის ფორმით. რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებათა არსებობა განაპირობებს განვითარების ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, ფორმას — ევოლუციურსა და რევოლუციურს. „ევოლუცია, — წერდა ი. ბ. სტალინი, — ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლუციას, ხოლო რევოლუცია ავავრგვინებს ევოლუციას და ხელს უწყობს მის მერმინდელ მუშაობას“ (თხზ., ტ. 1, გვ. 282). კომუნისტური პარტია მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს განვითარების ორი ფორმის — ევოლუციური და რევოლუციური ფორმების შეხამების პრინციპით. ამასთან იგი ემყარება იმას, რომ „კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა და კაპიტალისტური ჩაგვრისაგან მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება განხორციელდეს არა ნელი ცვლილებების გზით, არა რეფორმების გზით, არამედ კაპიტალისტური წყობილების მხოლოდ თვისობრივი შეცვლის გზით, რევოლუციის გზით.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, რევოლუციონერი უნდა იყო და არა რეფორმისტი“ (ი. ბ. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 678).

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ნახტომების ხასიათი შეიძლება სხვადასხვა იყოს, კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით. მაგალითად, ანტაგონისტური საზოგადოების პირობებში ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლა მუდამ ხორციელდება აფეთქების ფორმის ნახტომის გზით. იმ საზოგადოების განვითარებაში, სადაც ანტაგონისტური კლასები არ არის, ნახტომები, ახალ თვისობრივ მდგომარეობაზე გადასვლა ხორციელდება ძველი თვისების მუდმივი კვდომისა და ახალი თვისების გამოჩენის გზით.

დიალექტიკა გვასწავლის, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში განვითარება ხორციელდება თვით საგნებსა და მოვლენებში არსებულ წინააღმდეგობათა საფუძველზე. დაპირისპირებულთა ბრძოლის კანონი, როგორც დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი კანონი, მოქმედებს მატერიის მოძრაობის ყველა ფორმაში, წარმოადგენს როგორც ბუნების, ისე საზოგადოების განვითარების საფუძველს. ხელმძღვანელობს რა დიალექტიკის ამ დებულებით, პარტიას არასოდეს არ მიუჩქმალავს წინააღმდეგობანი, არამედ გაბედულად ააშკარავებდა მათ და სძლევდა პრინციპული ბრძოლის პროცესში. პარტია ფართოდ აჩაღებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, რომელიც სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში წინააღმდეგობათა და ნაკლოვანებათა გამოაშკარავებისა და დაძლევის უმნიშვნელოვანეს მეთოდს წარმოადგენს.

ამრიგად, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ცხადყოფს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების საერთო კანონებს, წარმოადგენს ჩვენი პარტიის მძლავრ თეორიულ იარაღს, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს არა მარტო სწორად შევიცნოთ, არამედ წარმატებითაც განვახორციელოთ მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნა.

* * *

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია წარმოადგენს შემეცნების არა მარტო ერთადერთ მეცნიერულ მეთოდს, არამედ აგრეთვე ობიექტური სინამდვილის განმარტების ერთადერთ სწორ, ნამდვილად მეცნიერულ მატერიალისტურ თეორიას. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა ყველა რეაქციული, იდეალისტური ფილოსოფიური შეხედულებისა და წარმოადგენს უაღრესად საიმედო იარაღს ყოველგვარი რეაქციის წინააღმდეგ საზოგადოების მოწინავე ძალთა ბრძოლაში. ფილოსოფიური მატერიალიზმის ამოსავალი დებულებებია დებულებანი სამყაროს მატერიალურობისა და მის კანონზომიერებათა შესახებ, მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის შესახებ, სამყაროს შეცნობადობის შესახებ.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ადამიანის გარემო სამყარო თავისი ბუნებით მატერიალურია. მასში არ არის არაფერი, გარდა მატერიისა, რომელიც მუდმივ ცვლილებაში, მოძრაობასა და განვითარებაში იმყოფება. განვითარება ხდება დროსა და სივრცეში. ბუნება და საზოგადოება, რომლებიც თავიანთი მატერიალურობით ერთიანნი არიან, ვითარდებიან მათი დამახასიათებელი კანონების მიხედვით. ბუნებისა და საზოგადოების კანონები ობიექტური და ადამიანთა ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებელია.

ხელმძღვანელობს რა მარქსისტული დებულებით ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ, პარტია თავის მოღვაწეობას წარმართავს ამ კანონების ზუსტი შესაბამისობით. პარტიამ გამოაამკარავა სუბიექტივისტურ-იდეალისტური შეხედულებანი საზოგადოებრივი განვითარების კანონებზე სოციალიზმის დროს, რომელთა თანახმად საბჭოთა სახელმწიფოს თითქოს შეუძლია გააუქმოს ან გარდაქმნას მოქმედი კანონები და შექმნას ახალი ეკონომიური კანონები. პარტიამ ცხადყო, რომ ასეთი თვალსაზრისი იწვევს მეცნიერების

ფელეტონი

დიაგნოზი

დიაგნოსტიკას განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტად ყოფნის დროს ოთარ გიორგის-ძე გელოვანი, რომელმაც სახელმწიფო სტიპენდიით წარჩინებულად დამთავრა ინსტიტუტი. დიაგნოსტიკისადმი სიყვარული ოთარს იმაშიც კი გამოაჩნდა, რომ ახალგაზრდა ექიმების განაწილების დროს თავი თბილისში შემოტოვა და მოეწყო კლინიკურ ორდინატურაში, სადაც ახალგაზრდა ექიმს დრო უქმად რიდი გიუტარებია.

ჩვენ ხელი არა გვაქვს მასალები იმის შესახებ, თუ პრაქტიკულად სად და როგორ გამოიყენა ოთარ გელოვანმა შეძენილი ცოდნა, ვის და როდის დაუსვა დიაგნოზი. ვიცით მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც მას თვითონ დასჭირდა დიაგნოზი და კარგადაც გამოიყენა იგი. ჩვენ სწორედ ორ შემთხვევაზე გვექნება ლაპარაკი.

ერთი შემთხვევა იყო ომის დროს, როდესაც მას გარკვეული მოსაზრებით დასჭირდა დიაგნოზი და მიაშურა რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ დისპანსერს, სადაც მას ძმაბიჭებმა დაუსვეს დიაგნოზი, რომ იგი ფსიქიურად არის დაავადებული. მოგეხსენებათ, რომ ფსიქიურად დაავადებულებს ჩვენი არმიის რიგებში არ იღებენ. თუ არ ვცდებით, ეს მოხდა 1944 წლის მარტსა თუ მაისში.

ვიდრე მეორე შემთხვევაზე ვილაპარაკებდეთ, დაგვეჭირდება მცირე ექსკურსი.

ახალგაზრდა ექიმის ოთარ გელოვანს 1953 წლის 31 დეკემბრის გაუვიდა ორდინატურის სტაჟის ვადა და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გამოძახეს.

— პატივცემულო ოთარ, თქვენ ქირურგიაში დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები უკვე შესანიშნავად ითვისეთ, ახლა შეგიძლიათ ჩაებათ პრაქტიკულ მუშაობაში.

— თქვენ ალბათ რაიონში მიპირებთ გაგზავნას. არავითარ შემთხვევაში, — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა გელოვანმა.

— ქლუხორის რაიონი შესანიშნავი რაიონია, მშვენიერი ადგილმდებარეობა აქვს. იქვე მახლობლად არის საკავშირო მნიშვნელობის კურორტი ტებერდა. თქვენ იქ რაიონის წამყვანი ქირურგი იქნებით.

— არა და არა. მე რაიონში არ წავალ. მე მეცნიერებისათვის ვარ მიწოდებული. დისერტაცია უნდა დავიცვა. აქ კათედრაზეც კარგად ვიმუშავებ.

მომდინარე წლის 23 თებერვალს გელოვანი კვლავ დაიბარეს სამინისტროში და ჩააბარეს ბრძანება № 84/42, რომლითაც ოთარ გიორგის-ძე გელოვანი დანიშნული იყო ქლუხორის რაიონის ქირურგად. მაგრამ გელოვანმა პროტესტის ნიშნად კარი გიიჯახუნა და ბრძანება არ ჩაიბარა. სამინისტრო იძულებული გახდა სამართალში მიეცა გელოვანი ურჩობისათვის.

ძილი გაუტყდა ოთარს გამოსავლის ძებნაში და ერთ უძილო ღამეს მოაგონდა, რომ ჯერ კიდევ ომის დროს მისმა მეგობრებმა იგი კინაღამ შეშლილად გამოაცხადეს, რადგან ეს საკირო იყო. დიაგნოზი! დიაგნოზი! — სიხარულით წამოიძახა ოთარმა და ჩასთვლიმა.

მომდინარე წლის 27 თებერვალს გელოვანი თვალებგადმოკარკლული (რადგან ეს საკირო იყო!) წარსდგა თბილისის კალინინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს სამსჯავრო სხდომის წინაშე.

— მოახსენეთ სასამართლოს, რატომ აცხადებთ უარს ქლუხორის რაიონში სამუშაოდ წასვლაზე? — შეეკითხა გელოვანს სახალხო მოსამართლე ამხ. ა. სტურუა.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო მოსამართლეკ, — ისევ გადმოკარკლა თვალები გელოვანმა, — მე და უარის თქმა! ოღონდ მომარჩინეთ და ქლუხორში კი არა სადაც გინდათ იქ წავალ.

— რა გჭირთ ასეთი?

— ნევროპათია ვეგეტოდისტონიით და ისტერიული სინდრომით.

მოსამართლემ და მსაჯულებმა ერთმანეთს გადახედეს, ხოლო შემდეგ მიაჩერდნენ გელოვანს, რომელმაც კიდევ უფრო გადმოკარკლა თვალები. დარბაზში წინა სკამზე მსხდომნი უკანა სკამზე გადასხდნენ სიტყვა „ისტერიულის“ გაგონებაზე.

სასამართლოს სხდომა შეწყდა და რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ დისპანსერს გაეგზავნა შემდეგი მიმართვა: „სასამართლო გთხოვთ მოგვეთ დასკვნა, ოთარ გიორგის-ძე გელოვანი ამჟამად არის თუ არა დაავადებული ფსიქიურად და საჭიროებს თუ არა მკურნალობას“.

რესპუბლიკურმა ფსიქონევროლოგიურმა დისპანსერმა იმავე 27 თებერვალს სასამართლოს ფიცხლავ მიაწოდა შემდეგი ცნობა:

„გელოვანი ოთარი გიორგის-ძე არის აღრიცხვაზე რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში 1944 წლიდან, სადაც ატარებს პერიოდულ მკურნალობას. განმორებით იქნა შემოწმებული ექიმთა კონსილიუმზე 27/II-54 წ. **დიაგნოზი:** ნევროპათია, ვეგეტოდისტონიით — ისტერიული სინდრომით.

დასკვნა: საჭიროებს ამბულატორიულ მკურნალობას თბილისის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში.

მთავარი ექიმი გ. აბულაშვილი

გამომკვლევი ექიმი თ. ქავთარაძე“.

აბულაშვილმა და ქავთარაძემ აცნობეს სასამართლოს, რომ გელოვანი საჭიროებს დროებით სპეციმკურნალობას ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში, ხოლო ამჟამად ქლუხორში ფსიქიატრი არ არისო. ეს სხვანაირად იმას ნიშნავდა, რომ ერთ ფსიქიატრს თუ თან გაატანთ სამკურნალოდ, მაშინ გაგზავნეთო. საკვირველი ის არის, რომ ასეთივე პოზიცია დაიკავა სასამართლო პროცესზე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს იურისკონსულტმა ამხ. ჭეიშვილმა, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ გაებათილებინა დისპანსერის არსებითად ყალბი ცნობა, მას დაეყრდნო და სასამართლოში განაცხადა, ექიმ გელოვანს რაიონში წასვლა ორი-სამი თვით გადავუდოთო. ამ კურიოზული დიაგნოზის საფუძველზე სასამართლომაც კურიოზული გადაწყვეტილება გამოიტანა და გელოვანი ფაქტიურად იხსნა საზოგადოებრივი გაკიცხვისა და დირსეული სასჯელისაგან.

პატივცემულ ფსიქიატრებს აბულაშვილსა და ქავთარაძეს შეგიდრტენ, რომ მათ მიერ სასამართლოსათვის გაგზავნილი დასკვნა და დიაგნოზი სცოდავს როგორც მეცნიერულად, ისე ლოგიკურად. გარდა ამისა, ისინი დათვურ სამსახურს უწევენ ექიმ გელოვანს.

ნამდვილად დიაგნოზი კი სულ სხვაა. ექიმი ოთარ გიორგის-ძე გელოვანი დაავადებულია იოლად განსაკურნებელი სენით, რომელსაც სიმულაცია ეწოდება.

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით ექიმ გელოვანის მიერ ჩადენილ საქციელზე, რაც საზოგადოებრივი გაკიცხვის ღირსია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან გელოვანისთანა ტიპები, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე იღებენ უმაღლეს განათლებას, ხოლო შემდეგ გაურბიან სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებათა შესრულებას. ჩვენი საზოგადოებრიობა ვერ მოიმენს ამისთანა ტიპებს და ვერც მათ „შეფებსა“ და „გულშემატკივრებს“.

გ. შუბიძე,

ა. სპეროზავილი.

ტექნიკის სახლი

თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე ახალ შენობაში მოთავსებულია ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკის სახლი, რომელიც წარმოადგენს რკინიგზის ტრანსპორტზე ტექნიკური პროპაგანდის, შრომის მოწინავე მეთოდების და ახალი ტექნიკის დანერგვის ცენტრს.

სურათზე: რკინიგზელები ეცნობიან ელექტრომავლის მოწყობილობას.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

მცხეთის რაიონში

150 ჰექტარი ხეხილის ბაღი

კოლმეურნეობებში ნაყოფიერად მუშაობენ ხეხილის ახალი ბაღების გასაშენებლად. წელს გაზაფხულსა და შემოდგომაზე 150 ჰექტარ ხეხილის ახალ ბაღებს გააშენებენ.

მარტო ამ გაზაფხულზე გაშენდება 85 ჰექტარი ბაღი. ამ სამუშაოების სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის კარგად მუშაობენ სოფელ წილენის ხრუშჩოვის სახელობის, მისაქციელის კიროვის სახელობის, მუხრანის სტალინისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობები.

ბოსტნეულის ბარაქიანი მოსავლისათვის

ბოსტნეული კულტურების ბარაქიანი მოსავლის მიღების მიზნით კოლმეურნეობებში ფართოდ ინერგება ნეშომპალის ქოთნებში ჩითილის გამოყენების წესი. კოლმეურნეობებმა უკვე დაამზადეს ნახევარ მილიონზე მეტი ნეშომპალის ქოთანი.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში უკვე დაიწყეს პამიდორისა და კომბოსტოს ჩითილის ჩარგვა ნეშომპალის ქოთნებში.

კოლმეურნეობებს გათვალისწინებული აქვთ 1 მაისისათვის ჩითილის გამოსაყვანად კიდევ დაამზადონ ნახევარი მილიონი ცალი ნეშომპალის ქოთანი.

ახალი ვენახი

სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის, მისაქციელის კიროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვაზის მყნობა. ახალი ვენახის გასაშენებლად მარტო სოფელ მუხრანის სტალინისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა ხუთ სამუშაო დღეში 50 ათასი ძირი ვაზი დაამყნეს.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წელს გააშენონ 50 ჰექტარი ახალი ვენახი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ჰექტარისა. (სპეც. კორ.).

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

ლონდონი, 16 აპრილი. (საკდესი). დღეს ბატერსის (სამხრეთ-დასავლეთი ლონდონი) რატუშაში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა, რომელიც მიმდინარეობს ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, მუშათა კლასის ერთიანობისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

ყრილობა გახსნა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის თავმჯდომარემ — ინგლისის მუშათა მოძრაობის ვეტერანმა უილიამ გალაჰერმა.

გალაჰერის ბოლო სიტყვებმა, რომლებშიც მან აღნიშნა მშვიდობის ძალების ზრდა ინგლისში და ის, რომ საჭიროა განმტკიცდეს კომპარტია, რომელიც იბრძვის მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, დელეგატების მჭუხარე ტაში გამოიწვია.

ყრილობამ აირჩია საორგანიზაციო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები და მიიღო კომპარტიის აღმასკომის ანგარიში.

შემდეგ პოლიტიკური მოხსენება გააკეთა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა.

პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიის ეს ყრილობა შეიკრიბა ინგლისელი ხალხისათვის კრიზისულ ვითარებაში, რაც მას ემუქრება სერიოზული ეკონომიური კრიზისი და ომის საფრთხე, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ქმნის.

შეეხო რა ინგლისის საშინაო მდგომარეობას, პოლიტმა თქვა: ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა კაპიტალისტური ძარცვა ისე აშკარა და უტიფარი, როგორც ახლა. 1952 და 1953 წლების მიუჯეტებმა მსხვილ კაპიტალისტებს აჩუქეს 254 მილიონი გირვანქა სტერლინგი: მსხვილი კაპიტალების საშემოსავლო გადასახადი შემცირდა, ხოლო საბანკო პროცენტის განაკვეთი გადიდდა. კაპიტალისტებისათვის საგზაო ტრანსპორტისა და მეტალურგიული მრეწველობის ნაციონალიზებული საწარმოების დაბრუნების დროს მათ აჩუქეს მილიონობით გირვანქა სტერლინგი. საჯარო გადასახადის გადიდება უზრუნველყოფს სახლმფლობელთა შემოსავლის გადიდებას წელიწადში 80 მილიონი გირვანქა სტერლინგით.

ამავე დროს მუშებს მიუჯეტებმა მოუტანეს სურსათ-სანოვაგის გაძვირება და მისი მოხმარების შემცირება. ათ-ათი გირვანქა ხორცის, შაქრისა და ერბო-კარაქის ნაცვლად, რასაც ომამდე ხმარობდნენ, ახლა ხმარობენ 7 გირვანქა ხორცს, 8 გირვანქა შაქარსა და 6 გირვანქა ერბო-კარაქს.

განათლება იკვეცება, საბინაო პირობები უარესდება. მთავრობას ძალა არ შესწევს გამონახოს სახსრები ხელფასის გასადიდებლად და, ამასთან ერთად, 1.776 მილიონ გირვანქა სტერლინგს ხარჯავს წელიწადში ომისათვის: თვითეულ მამაკაცს, თვითეულ ქალსა და თვითეულ ბავშვს ინგლისში ამ მიზნებისათვის ახდევინებენ 13 შილინგსა და 8 პენსს კვირაში. რენტის, პროცენტებისა და მოგების მფლობელნი 4 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტს იღებენ წელიწადში ინგლისელი ხალხის შრომის ხარჯზე. ეს ხარკი, რაც მდიდრებს ეძლევათ, შეადგენს 80 გირვანქა სტერლინგს წელიწადში თვითეულ ადამიანზე სქესისა და ასაკის გაურჩევლად. ინგლისისა და უელსის მოსახლეობის 1 პროცენტი.

მემარჯვენე ლეიბორისტი ლიდერები ამტკიცებენ, რომ ინგლისში აღარ არის კლასობრივი საზოგადოება. ეს აშკარა სიცრუეა

ჩვენ გვეუბნებიან, თქვა შემდეგ პოლიტმა, რომ შეტევა ხალხის ცხოვრების პირობებზე აიხსნება ინგლისის მეტად მძიმე ეკონომიური მდგომარეობით. ნამდვილად ყველა ამ მსხვერპლს ხალხისაგან მოითხოვენ, რათა აანაზღაურონ ცივი ომის, კოლონიური ომების ხარჯები.

პოლიტმა აღნიშნა, რომ კოლონიების ექსპლოატაცია უკანასკნელ წლებში უაღრესად გაძლიერდა და კოლონიების ხალხთა ცხოვრების პირობები გაუარესდა.

ახლანდელი პოლიტიკა, განაცხადა პოლიტმა, აჩანაგებს ინგლისს. ამ პოლიტიკამ ინგლისი დაუკავშირა ამერიკის იმპერიალიზმს და დოლარის ბატონობას. მან გამოიწვია ის, რომ ამას წინათ ბერლინის თათბირმა უარყო საბჭოთა კავშირის წინადადება — დაიდოს ხელშეკრულება ევროპის უშიშროების პაქტის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა მტკიცე მშვიდობას. მან გამოიწვია გერმანიის მილიტარიზმის ხელახალი შეიარაღება და ინგლისი გადააქცია ამერიკელ ატომურ ბომბდამშენთა ბაზად.

მუშათა მოძრაობისა და მთელი ხალხის ყველა ფენაში ძლიერდება აღშფოთება ამ პოლიტიკის გამო. ადამიანებს სულ უფრო კარგად ესმით, რომ ახლა ინგლისს უდიდესი შესაძლებლობა აქვს გადადგას ნაბიჯი წინ მშვიდობისაკენ, ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

შემდეგ პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი რამ ინგლისის პოლიტიკურ ვითარებაში ის არის, რომ მუშები შორდებიან მემარჯვენე ლეიბორისტ ლიდერებს და აძლიერებენ ბრძოლას თავიანთი უფლებებისა და ინტერესებისათვის. მან აღნიშნა, რომ დიდად ესწრაფვიან მშვიდობას ლეიბორისტული პარტიის რიგითი წევრები, რომლებიც აღშფოთებული არიან კონსერვატორთა არაერთი კაპიტულაციით ამერიკის იმპერიალიზმის წინაშე, კაპიტულაციებით, რომლებსაც მხარს უჭერენ მემარჯვენე ლეიბორისტი ლიდერები.

ჰარი პოლიტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სულ უფრო იზრდება კოლონიების ხალხთა წინააღმდეგობა ბრიტანეთის იმპერიალიზმისადმი. როგორც უნდა ცდილობდნენ კოლონიზატორები აფრიკაში, მალაიასა და ვესტინდოეთში, თქვა პოლიტმა, ისინი ვერ გატეხენ ამ ქვეყნების ხალხთა მძლავრ მოძრაობას ეროვნული განთავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის.

მომხსენებელმა თქვა, რომ მწვავდება წინააღმდეგობა იმპერიალისტურ ბანაკში და განსაკუთრებით მწვავდება წინააღმდეგობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

შემდეგ პოლიტმა ანალიზი გაუკეთა იმას, თუ როგორ განვითარდა მუშათა მოძრაობა ორ ყრილობას შორის განვლილ პერიოდში და ილაპარაკა მის ამოცანებზე.

პოლიტმა მოუწოდა გაძლიერდეს კამპანია ინდოჩინეთის ომისა და ყველა სხვა ომის შეწყვეტისათვის, რომლებიც ახლა წარმოებს.

მან მოითხოვა განხორციელდეს ენერგიული მოქმედება შემდეგი მიზნების მისაღწევად:

საშინაო პოლიტიკაში — გადიდდეს ხელფასი, გაუდიდდეს დახმარება უმუშევრებს, პენსია მოხუცებს, ავადმყოფებსა და იმათ, ვინც დაკარგა შრომის უნარი წარმოებაში ან ომში; შემცირდეს ფასები; გადიდდეს საბინაო მშენებლობა; განხორციელდეს პროგრესი განათლების დარგში და გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის დაცვა; ინგლისი ეროვნულად დამოუკიდებელი გახდეს ამერიკის ბატონობისაგან და ამერიკელებმა შეწყვიტონ ინგლისის სამხედრო ოკუპაცია; ინგლისს სრულებით არ შეეზღუდოს უფლება ივაჭროს ყოველ ქვეყანასთან; გამოეცხადოს სოლიდარობა მალაიის, კენიის, ბრიტანეთის გვიანის ხალხებს და სხვა კოლონიურ ხალხებს; ინგლისმა გაიყვანოს ჯარები ყველა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნიდან.

საგარეო პოლიტიკაში — მოეწყოს კონფერენცია კორეის საკითხზე ინდოჩინეთისა და აზიის სხვა ნეიტრალური ქვეყნების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს მშვიდობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ინგლისის ჯარები არ იომებენ არც კორეაში, არც ჩინეთის წინააღმდეგ; მიეცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; წინააღმდეგობა გაეწიოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას, მოეწყოს საზავო კონფერენცია, რათა შეიქმნას გაერთიანებული, მშვიდობიანი და დემოკრატიული გერმანია; მხარი დაეჭიროს საბჭოთა კავშირის წინადადებებს ევროპის უშიშროების შესახებ; მოხდეს შეიარაღების [illegible] შემცირება; შემცირდეს [illegible]; აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი; მოეწყოს მოლაპარაკებები [illegible] რათა შენელდეს [illegible].

იმისათვის, რომ ბრძოლას ამ მიზნების მისაღწევად წარმატება ჰქონდეს, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ჰარი პოლიტმა, საჭიროა გაერთიანდეს ინგლისის ყველა მოწინავე მუშა და განმტკიცდეს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის რიგები.

* * *

დღეს ყრილობაზე გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების, სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მისალმებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების ტექსტში ნათქვამია:

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უთვლის დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას.

ვუსურვებთ დიდი ბრიტანეთის კომუნისტურ პარტიას წარმატებებს ინგლისის მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, თავისი რიგების განმტკიცებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ყრილობის დელეგატები მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ლონდონი, 17 აპრილი. (საკდესი). გუშინ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ყრილობის დღის სხდომაზე დაიწყო კამათი პოლიტის მოხსენების გამო. შოტლანდიის, ლონდონისა და ლანკაშირის სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს, თუ კომუნისტები ადგილებზე როგორ ხელმძღვანელობენ მშრომელთა ბრძოლას მშვიდობისათვის და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

შოტლანდიელმა მეშახტემ უ. მაკლინმა, ილაპარაკა რა შოტლანდიელი მაღაროელების ბრძოლაზე დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანს პარტიული მუშაობის გაუმჯობესების მეოხებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა უპარტიო მაღაროელთა პოლიტიკური აქტივობა. „ჩვენი შახტის კომუნისტების მუშაობის გამოცდილება, — თქვა მაკლინმა, — მოწმობს, რომ მუშათა ერთიანი მოქმედება, მიუხედავად იმისა, თუ რა პარტიას ეკუთვნიან ისინი, შესაძლებელია“.

მშვიდობისათვის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ქალთა ბრძოლაზე ილაპარაკა ევა კოენმა — პარტიის ლანკაშირისა და ჩეშირის რაიონული კომიტეტის წევრმა. მან აღნიშნა, რომ პარტიის წევრმა ბეევრმა ქალმა თავისი თავდადებული ბრძოლით დაიმსახურა ის, რომ ისინი აერჩიათ სხვადასხვა საზოგადოებრივ და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში. კოენმა პირობა მისცა ყრილობას, რომ „ქალები კვლავაც იქნებიან მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში“.

„შეფილდის დელეგატმა მოუწოდა დამსწრეთ ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ პარტიის კავშირი მასეებთან.

ყრილობის სახელზე კვლავ მოდის სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების მისალმებანი. დღის სხდომის დასასრულს წაიკითხეს გერმანიის, იაპონიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების მისალმებანი.

ნიერების ლიკვიდაციას და ქადაგებს ვოლუნტარიზმს, ანარქიზმს, ავანტიურიზმს პრაქტიკაში. სოციალიზმის დროსაც საზოგადოებრივი განვითარება წარმოებს ადამიანთა ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებელი ობიექტური კანონების საფუძველზე.

ხაზგასმით აღნიშნავს რა ბუნებისა და საზოგადოების კანონების ობიექტურ ხასიათს, მარქსიზმ-ლენინიზმი ამავე დროს გვაფრთხილებს ამ კანონების ფეტიშიზაციის წინააღმდეგ. ადამიანებს არ შეუძლიათ გააუქმონ ობიექტურად არსებული კანონები, მაგრამ უძლური როდი არიან მათ წინაშე. შეიცნობენ და შეისწავლიან რა ამ კანონებს, მათ შეუძლიათ დაუმორჩილონ ისინი თავიანთ ნებას, შეგნებულად იხელმძღვანელონ ამ კანონებით, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის.

ისტორიაში დიდი, გადამწყვეტი როლი ეკუთვნით ხალხის მასებს, მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა ნამდვილ შემოქმედთ. ხალხის მასებს თავიანთი რევოლუციური საქმიანობით, რომელიც შეესაბამება საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მომწიფებულ ამოცანებს, შეუძლიათ შექმნან პირობები, რომლებშიც მოქმედებას წყვეტენ ერთი კანონები და ძალაში შედიან სხვა კანონები. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის შედეგად მოქმედება შეწყვიტა კაპიტალიზმის ძირითადმა ეკონომიურმა კანონმა და ძალაში შევიდა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების კანონი.

ეყრდნობა რა სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების ცოდნას, პარტია იმუშავებს მეცნიერულად დასაბუთებულ პოლიტიკას და რაზმავს საბჭოთა ხალხს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული მკაფიობით იჩინა თავი სოციალიზმის ეკონომიური კანონების შეგნებულად გამოყენებამ. პარტიამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ლიკვიდირებულ იქნას ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებისა მრეწველობისაგან, დაძლეულ იქნას მთელი რიგი დისპროპორციები, რომლებიც შეიქმნა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის უმნიშვნელოვანესი დებულებაა მეცნიერულად გადაწყვეტა ფილოსოფიის ძირითადი საკითხისა ყოფიერებასთან აზროვნების დამოკიდებულების შესახებ. თუ იდეალისტურ ფილოსოფიას პირველადად მიაჩნია სული, ცნობიერება, იდეა, ე. ი. საბოლოო ანგარიშით ღმერთი, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი, მეცნიერების მონაცემებთან ზუსტი შესაბამისობით, ეყრდნობა იმას, რომ პირველადია მატერია, ხოლო ცნობიერება მეორადია, წარმოებულია, ვინაიდან იგი მატერიის ანარეკლია, მაღალორგანიზებული მატერიის — ტვინის პროდუქტია.

საზოგადოებაზე გაავრცელა რა დებულება მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმმა მოგვცა საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების თანაფარდობის საკითხის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა. საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას. იდეები, შეხედულებანი წარმოიშობიან საზოგადოებრივი ყოფიერების ბაზაზე, საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობების განვითარების ბაზაზე. ამიტომ, გვასწავლის მარქსიზმი, ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენათა მიზეზს უნდა ვეძებდეთ არა ადამიანთა თავში, არა იდეებში, შეხედულებებში, არამედ საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობებში, საზოგადოებრივ ყოფიერებაში, ადამიანთა საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობაში.

მეცნიერულად გადაწყვიტა რა საზოგადოებრივი ცნობიერების წარმოშობის საკითხი, მარქსიზმ-ლენინიზმმა ამავე დროს დაგვანახვა მოწინავე იდეების დიადი გარდამქმნელი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „თეორია, — წერდა მარქსი, — მატერიალური ძალა ხდება, როგორც კი იგი მასებს დაეუფლება“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. I, გვ. 406). მარქსიზმის ეს უმნიშვნელოვანესი დებულება წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ თეორიის როლი ჩვენი პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაში. განიხილავს რა თეორიას როგორც საზოგადოებრივი პროგრესის უდიდეს ფაქტორს, როგორც გარდამქმნელ ძალას, პარტია მტკიცედ იცავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, დაუცხრომლად ავითარებს და ამდიდრებს მას ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ეწევა დიდ მუშაობას კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის იდეური აღზრდისათვის.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი სავსებით შეცნობადია. სამყაროში არ არის შეუცნობადი საგნები, არამედ არის მხოლოდ ისეთი საგნები, რომლებიც ჯერ კიდევ შეუცნობელია, მაგრამ რომლებიც ადრე თუ გვიან ახსნილი და შესწავლილი იქნება მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების მსვლელობაში. სამყაროს შეცნობა არის დიალექტიკური პროცესი, რომელიც მიდის არცოდნიდან ცოდნისაკენ, ნაკლებად სრული ცოდნიდან უფრო სრული ცოდნისაკენ. შემეცნების განვითარების გარკვეული საფეხური ყოველთვის დაკავშირებულია გარემო სამყაროზე ცოდნის შეფარდებითობასთან, მაგრამ ეს შეფარდებითი ცოდნა აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლს შეიცავს.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ გამოარკვია, რომ შემეცნების საფუძველს და ჭეშმარიტების კრიტერიუმს წარმოადგენს პრაქტიკა, ადამიანის საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობა. ყოველი თეორია სიცოცხლისუნარიანია და სწორად ასახავს გარემომცველ სამყაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი მჭიდროდ დაკავშირებულია პრაქტიკასთან. პრაქტიკა არა მარტო კრიტერიუმია გარემომცველ სამყაროზე ჩვენი ცოდნის ჭეშმარიტებისა, არამედ შემეცნების საფუძველიც, მეცნიერების განვითარების საფუძველიც არის.

მარქსიზმ-ლენინიზმი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის განსახიერებაა. მარქსიზმის ქმედითობა, მისი მუდმივი კავშირი პრაქტიკასთან შეადგენს მარქსისტული მეცნიერების ყველაზე დამახასიათებელ თვისებას. რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკაში დასტურდებოდა და დასტურდება მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულებანი, კომუნიზმისათვის პრაქტიკული ბრძოლის მსვლელობაში მარქსიზმი შემოქმედებითად ვითარდება, შეივსება და მდიდრდება ახალი აღმოჩენებითა და განზოგადებებით.

* * *

მარქსისტულ-ლენინური პარტიის თეორიული საფუძვლების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერება საზოგადოების განვითარების საერთო კანონების შესახებ.

ისტორიული მატერიალიზმი, მიგვითითებდა ი. ბ. სტალინი, არის დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გამოყენება საზოგადოების ცხოვრების მოვლენების მიმართ, საზოგადოების შესასწავლად, საზოგადოების ისტორიის შესასწავლად.

ისტორიის მატერიალისტური გაგების წარმოშობა მოასწავებდა უდიდეს რევოლუციურ გადატრიალებას შეხედულებებში საზოგადოებაზე, რის შედეგადაც პირველად შეიქმნა ნამდვილი მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ.

წინააღმდეგ იდეალიზმისა ისტორიულმა მატერიალიზმმა დაგვანახვა, რომ საზოგადოებრივი განვითარების წყარო სულის, ცნობიერების თვისებებში კი არ არის, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებშია, ამასთან მთავარ ძალას საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების სისტემაში წარმოადგენს ადამიანების არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის წარმოების წესი.

განიხილავს რა მატერიალური დოვლათის წარმოების წესს როგორც საზოგადოებრივი პროგრესის მთავარ და ძირითად მამოძრავებელს, მარქსიზმ-ლენინიზმი თვლის, რომ წარმოების წესი განსაზღვრავს და განაპირობებს ყველა სხვ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. (საკდესი). 14 აპრილს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა. ეს კომისია განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ შეიქმნას ქვეკომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 ნოემბრის რეზოლუციის (№ 715) და ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის 1954 წლის 18 თებერვლის კომუნიკეს შესაბამისად. ამ სხდომაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ წარმოთქვა სიტყვა ინგლისის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის გამო, რომელიც ითვალისწინებს შეიქმნას ქვეკომიტეტი ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და კანადის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ ყველა ქვეყანა, რომლებიც მოხსენიებულია ინგლისის რეზოლუციის პროექტში, უნდა შევიდეს, საბჭოთა კავშირის აზრით, ქვეკომიტეტში. მაგრამ ინგლისის წარმომადგენელმა დიქსონმა, აღნიშნა ვიშინსკიმ, არ განმარტა, თუ ქვეკომიტეტის შემადგენლობაში რატომ უნდა შევიდნენ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც მან დაასახელა. ქვეკომიტეტის შემადგენლობის საკითხის ასეთი ცალმხრივი გადაწყვეტა არ შეესაბამება გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას, რომელიც დამოწმებულია პრეამბულაში, როგორც არ შეუსაბამება აგრეთვე საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის კომუნიკეს.

ვიშინსკი შეეხო იმ საკითხს, თუ რა პრინციპულ საფუძველზე უნდა შეიქმნას ქვეკომიტეტი და აუმაყოფილებს თუ არა ამ პრინციპულ მოთხოვნებს ინგლისის დელეგაციის წინადადება.

თუ ვილაპარაკებთ პრინციპებზე, თქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, ჯერ-ერთი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მოელიან გენერალური ასამბლეა, ყველა ხალხი, მთელი კაცობრიობა, საქმე ეხება ქვეკომიტეტის მუშაობის დღის წესრიგში შეტანილი საკითხების ისეთ გადაწყვეტას, რომელმაც უნდა აღმოფხვრას გამალებული შეიარაღება, უზრუნველყოს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა, აღმოფხვრას ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, ხელი შეუწყოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

ამ მხრივ უკანასკნელი ადგილი როდი უკავია იმ საკითხსაც, რომ ხალხებს მოეხსნათ სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთი, რაც აწევს მილიონობით ადამიანს და რაც ბევრ სახელმწიფოს ხელს უშლის რაციონალურად გამოიყენონ სახსრები, რათა დაკმაყოფილონ ხალხთა მასების საჭიროება, ამაღლონ ხალხთა ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონე, ერთი სიტყვით, მოეხსნათ სამხედრო ხარჯები, რაც აუცილებელია გამალებული შეიარაღების დროს, რომელიც წარმოებს ახლა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში.

აი რას ეხება საქმე, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ შეიქმნას განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი, განაგრძო ვიშინსკიმ. ის, რაც მე ვთქვი, თავისთავად უკვე საკმარისად მოწმობს იმ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რომელიც აკისრია ქვეკომიტეტს მისი იმ მუშაობის შედეგებისათვის, რომლის მნიშვნელობაც არ შეიძლება ჯეროვნად არ შეეფასოთ.

ცხადია, რომ გადაწყვეტილების, იმ მისაღები გადაწყვეტილების მომზადებაში, რომელზეც ლაპარაკია გენერალური ასამბლეის მე-8 სესიაზე მიღებულ 715-ე რეზოლუციაში, მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ პრობლემის გადაწყვეტით ყველაზე დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა.

ითვალისწინებს თუ არა ამ გარემოებას, ამ მოსაზრებებს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ინგლისმა შეიტანა და რომელსაც მხარი დაუჭერეს შეერთებული შტატების, საფრანგეთის წარმომადგენლებმა და ზოგიერთმა სხვა დელეგატმა? მე ვფიქრობ, რომ სწორი იქნება ამ კითხვაზე უარყოფითად ვუპასუხოთ.

ინგლისის დელეგაციის რეზოლუციის პროექტში, თუქცა დამოწმებულია გენერალური ასამბლეის 715-ე რეზოლუცია, აგრეთვე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების 1954 წლის 18 თებერვლის ბერლინის კომუნიკე, მაგრამ სინამდვილეში იგი არ ითვალისწინებს სწორედ იმ დიდმნიშვნელოვან პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ორ დოკუმენტს. 715-ე რეზოლუციაში დადგენილია, როგორც ეს მისი ტექსტიდან ჩანს, ყოველ შემთხვევაში ორი პრინციპულად უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დებულება. ჯერ-ერთი, იგი ითვალისწინებს, რომ განიარაღების კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი, სასურველია თუ არა დაინიშნოს ქვეკომიტეტი „ყველაზე დაინტერესებული სახელმწიფოების“ წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამასთან იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ქვეკომიტეტის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ მარტო განიარაღების კომისიის წევრები. განმარტა რა თავისი პროექტის მოტივები, ინგლისის წარმომადგენელმა სრულიად აუარა გვერდი ამ საკითხს, არ შეიყვანა ქვეკომიტეტში მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც ყველაზე დაინტერესებული არიან ამ საკითხის გადაწყვეტით და რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით ამ საქმეში.

მეორე დიდმნიშვნელოვანი პრინციპული დებულებაა, როგორც ეს ნათქვამია რეზოლუციის პროექტის მე-6 პუნქტში. ქვეკომიტეტის ის ამოცანა, რომ გამონახოს მისაღები გადაწყვეტილება. არა მხოლოდ გადაწყვეტილება, არამედ მისაღები გადაწყვეტილება. მაშასადამე, არ შეიძლება მხოლოდ რაღაც უმრავლესობით მივიღოთ გადაწყვეტილება, ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა მისაღებია უმრავლესობისათვის, მაგრამ არ არის მისაღები უმცირესობისათვის, რომელიც აგრეთვე დაინტერესებულია ამ საკითხის გადაწყვეტით და რომელსაც აგრეთვე სრული უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს, რომ ისიც აღიარონ ყველაზე დაინტერესებულ სახელმწიფოდ.

ინგლისის წინადადება არ ითვალისწინებს რეზოლუციის ამ დიდმნიშვნელოვან დებულებებს, მე ვიტყოდი გენერალური ასამბლეის დირექტივებს, რადგან 1953 წლის 28 ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მეექვსე პუნქტს, არსებითად გენერალური ასამბლეის დირექტივაა განიარაღების კომისიისათვის, ხოლო დირექტივის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი სავალდებულოა. მაშასადამე, კომისიას უფლება არა აქვს ეს მეექვსე პუნქტი ისე განმარტოს, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს 715-ე რეზოლუციის ძირითად პრინციპსა და სულისკვეთებას.

მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ნათქვამი უფლებას მაძლევს დავახასიათო დიდი ბრიტანეთის პროექტი, როგორც აშკარად ცალმხრივი ხასიათის დოკუმენტი, როგორც პროექტი, რომელსაც აშკარად ცალმხრივი ხასიათი აქვს. ეს არ შეიძლება შეესაბამებოდეს საქმის ინტერესებს. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ განზრახულ ქვეკომიტეტში გათვალისწინებული არ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ე. ი. დიდი ჩინეთის 500-მილიონიანი ხალხის კანონიერ წარმომადგენელთა მონაწილეობა, ვისი როლიც შეიარაღების შემცირების საქმეში. რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევამციროთ, — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომელიც უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი კანონიერი წევრია. მეორე, არ არის გათვალისწინებული ქვეკომიტეტის შემადგენლობაში სხვა „ყველაზე დაინტერესებული სახელმწიფოების“ შეყვანა. მე დავასახელებ ინდოეთსა და ჩეხოსლოვაკიას. განა ქვეკომიტეტის შემადგენლობაში ისეთი სახელმწიფოს შეყვანას, როგორიც ინდოეთია, არ ექნება უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა, რომ მომზადდეს ის გადაწყვეტილებანი შეიარაღების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხზე. რომლიც ნაგულისხმევია განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის ძირითად ამოცანად?..

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი „ყველაზე დაინტერესებული სახელმწიფოების“ შეყვანა ქვეკომიტეტის შემადგენლობაში ნამდვილად შეესაბამება გენერალური ასამბლეის 715-ე რეზოლუციას, შეესაბამება აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის კომუნიკეს, რომელშიც დამოწმებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მეექვსე პუნქტი, პუნქტი, რომელშიც, თავის მხრივ, ნათქვამია, რომ ქვეკომიტეტში უნდა მონაწილეობდნენ „ყველაზე დაინტერესებული სახელმწიფოები“.

„მისაღები გადაწყვეტილების“ ფორმულა, რომელიც მიღებულია 715-ე რეზოლუციაში, შემთხვევითი არ არის. იგი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ისეთი უნდა იყოს, რომელსაც ხმას მისცემს ქვეკომიტეტის ყველა წევრი.

განა უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ რაღაც მსგავსი შეიძლება მოპოვეს შედეგად ქვეკომიტეტის მუშაობას, თუ იქ არ იქნენ ყველაზე დაინტერესებული სახელმწიფოების: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. ქვეკომიტეტში ამ სამ სახელმწიფოთა შეყვანა მოსპობს დიდი ბრიტანეთის რეზოლუციის პროექტის ძირითად ნაკლს — მის ცალმხრივობას. ასეთი ღონისძიება შექმნის ფართო შესაძლებლობას ამ ქვეკომიტეტის მონაწილეთა მართლაც შეთანხმებული გადაწყვეტილებებისათვის, იგი დასახავს იმის ნამდვილ გზას, რომ გამონახულ იქნას „მისაღები გადაწყვეტილება“.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ დაარსდეს ქვეკომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინგლისი, საფრანგეთი, ინდოეთი, ჩეხოსლოვაკია და კანადა.

რამდენადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი კანონიერი მუდმივი წევრია და უდავოდ ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებიც ყველაზე მეტად დაინტერესებული არიან შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობა ქვეკომიტეტში საესებით ბუნებრივი და საჭირო და არავითარ წინააღმდეგობას არ უნდა იწვევდეს.

სრულიად უდავოა აგრეთვე ის თქმული, რომ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხთა ყველაზე დაინტერესებულ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნის ინდოეთი — მე მგონია, იმდენად უდავოა, რომ დრო არ უნდა წაგართვათ ამ დებულების დასაბუთებლად.

ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობა, ისევე როგორც კანადის მონაწილეობა, აგრეთვე უდავოა. მათი მონაწილეობა იმ საკითხთა მომზადებაში, რომლებიც ატომურ იარაღს ეხებიან, აგრეთვე აუცილებელია: იმავე მოტივებით ჩეხოსლოვაკიისათვის, როგორც კანადისათვის.

ქვეკომიტეტის ცალმხრივი შემადგენლობის ნაცვლად, რასაც ინგლისის რეზოლუციის პროექტი გვთავაზობს, თქვა დასასრულ ვიშინსკიმ, ჩვენ მოვითხოვთ ქვეკომიტეტის ისეთ შემადგენლობას, რომელიც ჩვენი თვალსაზრისით უზრუნველყოფს ამ ქვეკომიტეტის მუშაობის ნაყოფიერი შედეგების მიღწევის ხელსაყრელ პირობებს. ასეთი შემადგენლობა დასაბუთებულია აგრეთვე იმით, რომ სასურველი არ არის ქვეკომიტეტში მთელი საქმე, ბოლოს და ბოლოს, ამოიწუროს იმ ზოგადი ფორმულების ანდა რაიმე ცალმხრივი რეზოლუციების გამეორებით, რომლებიც არავითარ შეღეგს არ მოგვცემენ. ამასთან საბჭოთა კავშირი ემყარება იმას, რომ სწორედ ასეთი შემადგენლობა შეიფერებს ქვეკომიტეტის დაარსების დიდმნიშვნელოვან მიზანს და შესაძლებლობას მოგვცემს გადავჭრათ ამოცანა, რაც დაეკისრება ქვეკომიტეტს, რომელსაც განიარაღების კომისია შექმნის.

შემდეგ გამოსულმა დანიის დელეგატმა განაცხადა, რომ მთელი დანიის საზოგადოებრიობის ყურადღება აღელვებულია და მიქცეულია განიარაღების პრობლემისადმი. მან მხარი დაუჭირა ინგლისის რეზოლუციის პროექტს, მაგრამ არაფერი არ უთქვამს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა განაცხადა, საბჭოთა წინადადება „უგუნურია“, რადგან იქ გათვალისწინებულია ქვეკომიტეტის შემადგენლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეყვანაო. ლოჯმა განაცხადა, რომ „კომუნისტური“ ჩინეთი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი და ამიტომ არ შეიძლება იყოს აგრეთვე განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის წევრი. მას არაფერი არ უთქვამს არ სხვა კანდიდატურაზე — ინდოეთსა და ჩეხოსლოვაკიაზე, რომელთა შეყვანას ქვეკომიტეტის შემადგენლობაში სსრ კავშირის დელეგაცია მოითხოვს.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ოპენომ გაიმეორა ქვეკომიტეტის მუშაობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის წინააღმდეგ და გაიმეორა ამერიკის დელეგატის დაუსაბუთებელი მტკიცებანი. საფრანგეთის დელეგატი ქვეკომიტეტის შემადგენლობაში ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის შეყვანაზე უარისთქმას იმით ამართლებდა, რომ „შეზღუდული შემადგენლობის“ ქვეკომიტეტის მუშაობა თითქოს უფრო „პროდუქტიული“ იქნება, ვიდრე გაფართოებული შემადგენლობის ქვეკომიტეტის მუშაობა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეის მერვე სესიაზე ინდოეთს არ წამოუყენებია თავისი კანდიდატურა ამ ქვეკომიტეტში, რომელიც უნდა შეიქმნას, ისევე როგორც არც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანდიდატურა წამოუყენებია.

ინგლისის წარმომადგენელმა დიქსონმა განაცხადა, რომ ინგლისის რეზოლუციის პროექტი თითქოს შეიფერება გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 ნოემბრის რეზოლუციის მოთხოვნებს. იგი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა წინადადების მიღება თითქოს „გაართულებს“ ქვეკომიტეტის მუშაობას.

ახალი ზელანდიის დელეგატი მუნრო ამტკიცებდა, რომ განიარაღების კომისიის პროცედურის წესები თითქოს ითვალისწინებს ქვეკომიტეტის შემქმნელ მხოლოდ განიარაღების კომისიის წევრთაგან.

დისკუსიის დასასრულს გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ი. ვიშინსკი, რომელმაც ცხადყო საბჭოთა დელეგაციის წინადადებათა მოწონებაიმდეგების მტკიცებათა დაუსაბუთებლობა და სრული უსაფუძვლობა.

ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, კერძოდ, რომ პროცედურის იმ წესებს, რომლებიც მუნრომ დიმოწმა თავისი მტკიცების დასასაბუთებლად, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განსახილველ საკითხთან.

ლოჯი, თქვა შემდეგ ვიშინსკიმ, დიდ შეცდომას სჩადის, რაც სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ტენდენციებს, რომლებთაც იგი ხელმძღვანელობს. ჩინეთი დიდ ხანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. ახლა საქმე სრულიადაც არ ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის მიღებას, არამედ იმას, რომ ჩინეთის ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკანონოდ უკავია ისეთ პირს, რომელიც არ შეძლებია ცნობილ იქნას ჩინელი ხალხის, ჩინეთის კანონიერ უფლებამოსილ წარმომადგენლად. ჩინეთის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია მხოლოდ წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომელსაც საათავეში უდგას ცენტრალური სახალხო მთავრობა. აი რაზეა ლაპარაკი. ლოჯს თავი ისე უკავია, თითქოს საქმე ეხება იმას, რომ ჩინეთი მივიღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. — ეს სწორი არ არის. ამაზე როდია ლაპარაკი. ლაპარაკია იმაზე, რომ ჩინეთის ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეკავოს წარმომადგენელს, რომელიც ნამდვილად კანონიერია. თქვენ მიგიჩნიათ, რომ კანონიერი წარმომადგენელია ახლანდელი წარმომადგენელი? მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩინეთის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია არა ფორმოზის წარმომადგენელი, არამედ იმ მთავრობის მიერ დანიშნული წარმომადგენელი, რომელიც გამოხატავს დიდი, ხუთასა მილიონზე მეტი ჩინელი ხალხის ნებას და სარგებლობს მისი მხარდაჭერით და არა იმ ჯგუფის მიერ, რომელიც განდევნილია ჩინეთის მიწაწყლის ფარგლებიდან და რომელმაც მოიკალთა ჩინელი ხალხისათვის ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით წართმეული კუნძულზე. ამიტომ მე ვამბობ — საქმე იმას როდი ეხება, თითქოს ჩინეთი არ იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია, და მისი კანონიერი წარმომადგენლები არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ის პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან ამ მთავრობის მიერ...

ახლა მე ვეკითხები იმათ, ვინც ჩვენი წინადადების წინააღმდეგ ილაშქრებს, ვისაც მიაჩნია, რომ ინგლისის წინადადება სწორი და ერთადერთი სწორია, — გენერალური ასამბლეის მერვე სესიაზე 1953 წლის 28 ნოემბრის მიღებულ 715-ე რეზოლუციაში სად არის ნაჩვენები ის ქვეყნები ან სახელმწიფოები, რომელთა წარმომადგენლებმა უნდა შეადგინონ ეს ქვეკომიტეტი? თქვენ ასეთი რამეს იქ ვერ ნახავთ. სამაგიეროდ თქვენ ნახავთ და არც თუ შემთხვევით — „ყველაზე დაინტერესებულ სახელმწიფოებს“. მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ თუ არ იქნება ინდოეთი, ეს იმიტომ, რომ იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ ყველაზე დაინტერესებულ სახელმწიფოებს. მაგრამ ეს განა უძლებს რაიმე კრიტიკას, განა ლოგიკურია ასეთი მტკიცება?..

თქვენ გსურთ მიაღწიოთ შეიარაღების შემცირებას, გამალებული შეიარაღების მოსპობას, ატომური იარაღის აკრძალვასა და სხვ.? თქვენ გსურთ განახორციელოთ მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა განამტკიცონ მშვიდობა, რომლებმაც უნდა განამტკიცონ საერთაშორისო უშიშროება? თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება ამის განხორციელება, თუ ამ მუშაობაში არ ჩავაბამთ შორეულ აღმოსავლეთსა და აზიას? თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება ამ მუშაობის შესრულება და რაიმე დადებითი შედეგის მიღწევა, თუ ამ მუშაობაში არ მიიღებენ მონაწილეობას აზიის ქვეყნები?

მე დიდად საეჭვოდ მიმაჩნია, რომ იმ ქვეკომიტეტის მუშაობამ, რომელიც უგულებელყოფს სახელმწიფოებს, რომლებშიც თითქმის ნახევარი კაცობრიობა შედის, რომელიც არ უწევს ანგარიშს ისეთ დიდ ქვეყნებსა და ხალხებს, როგორიც არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — ხუთასმილიონიანი ჩინელი ხალხი და ინდოეთი სამასსამოცმილიონიანი მოსახლეობით, — რომ განიარაღების კომისიაში ან ქვეკომიტეტში ამ ქვეყნების არყოფნამ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს განიარაღების საქმეზე, რომ განიარაღების ღონისძიებანი და შეიარაღების შემცირების ღონისძიებანი კი შეიძლება განვახორციელოთ ისე, რომ ანგარიში არ გავუწიოთ ამ ქვეყნების, ამ სახელმწიფოებს შეიარაღებულ ძალებს.

ეს არის სრულიად უსაფუძვლო ვარაუდი, რომელიც მოწმობს, რომ არსებობს ერთგვარი დახშული წრე, რომელშიც ცდილობენ კვლავაც ატრიალონ განიარაღების კომისიის საქმე და საერთოდ განიარაღების საქმე.

ბ-ნმა ოპენომ აღნიშნა, რომ ხუთის მუშაობა რუდამ უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე რვის ან ათის მუშაობა. თუ ასე ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ სამის მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე ხუთის მუშაობა. მაშინ საერთოდ შეიძლებოდა დაგვეტოვებინა მარტო დასავლეთის სამი დიდი სახელმწიფო: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი. დაე მათ იმუშაონ და შეიმუშაონ რაიმე პროექტები, ისე რომ არ გაუწიონ ანგარიში არავის და არაფერს. თუ ამ ლოგიკას განვაგრძობთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ერთის მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე სამის მუშაობა, რადგან მას სრულად გახსნილი ექნება ხელფეხი. იგი ვალდებული არ იქნება ვინმეს ეთათბიროს, ვალდებული არ იქნება შეათანხმოს თავისი წინადადებანი. იგი თვითონ გადაწყვეტს ყველაფერს. ეს გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე სამი, ეს გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ხუთი, გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ათი, და, ბოლოს, ეს გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე მთელი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

შეიძლება სწორედ იქითკენ მიდის საქმე, რომ დავტოვოთ ერთი, რომელიც გვიკარნახებდა თავის პირობებს, ან ის სამეული, რომელიც ამ კომისიის ბირთვია და რომლის ხელშიც იქნება არსებითად მთელი საქმე. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ მე ასეთი ქვეკომიტეტის ცალმხრივ ხასიათზე, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის მისი მუშაობის წარმატებას.

ინდოეთი, აცხადებს ოპენო, არ შეგვყავს იმიტომ, რომ თვითონ მას არ გამოუთქვამს სურვილი. მაგრამ განა ეს საბჭოთა კავშირს ართმევს უფლებას დაასახელოს ინდოეთის კანდიდატურა? ან განა საბჭოთა კავშირმა უნდა დაასახელოს სწორედ ისინი, და მხოლოდ ისინი, რომლებიც თვითონ გამოთქვამენ ქვეკომიტეტში შესვლის სურვილს? სრულიადაც არა.

დანიის წარმომადგენელმა, განაცხადა დასასრულ ვიშინსკიმ, აღნიშნა, რომ ამჟამად დანიაში დიდად დაინტერესებული არიან განიარაღებისა და შეიარაღების შემცირების საკითხებით. ეს სავსებით გასაგებია.

და არა მარტო დანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს საკითხები საყოველთაო ყურადღებას იპყრობს და აღიარებული საკითხებად, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. მით უფრო საჭიროა, რომ ქვეკომიტეტის მუშაობა გასცდეს კანცელარიული მუშაობის ფარგლებს, რომ ეს იყოს შემოქმედებითი მუშაობა, რომელშიც თავის წვლილს შეიტანდა არა მარტო სახელმწიფოთა კარდახშული ჯგუფი, რომელიც არსებითად წარმოდგენილია ამ ქვეკომიტეტში, რადგან ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და კანადა სახელმწიფოთა კარდახშული ჯგუფია. ჩვენ, პირიქით, გვსურს დავარღვიოთ კარდახშული ორგანიზაციების, კარდახშულ დაჯგუფებათა ეს ტენდენცია და ამიტომ შემოგვაქვს წინადადება შეიქმნას ისეთი ქვეკომიტეტი, რომელსაც ცალმხრივი ხასიათი არ ექნება.

ამრიგად, არც პოლიტიკური, არც საქმიანი, არც იურიდიული მოსაზრებანი ოდნავაც არ წარმოადგენენ დაბრკოლებას იმისათვის, რომ მიიღოთ ჩვენი წინადადებანი. ამიტომ საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ მის წინადადებას განიარაღების კომისია სერიოზულად მოეკიდოს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ქვეკომიტეტში შევიყვანოთ ის ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ დასახელა, რადგან მტკიცედ გვწამს, რომ ამ ქვეყნების ინტერესების უგულებელყოფა, იმ წვლილის უგულებელყოფა, რომელსაც წარმოადგენს მონაწილეობა შეიარაღების შემცირებისათვის წარმოებულ მუშაობაში და ატომური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდ ზიანს მიაყენებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. მე მოვუწოდებ განიარაღების კომისიის წევრებს სერიოზულად მოეკიდონ ამ წინადადებას, რომელსაც მე ვიცავ ჩემი მთავრობის სახელით.

ამერიკის შეერთებული შტატების წარევა ინდოჩინეთის ომში

პარიზი, 17 აპრილი. (საკდესი). იმოწმებს რა პარიზის ავტორიტეტულ წრეებს, გაზეთი „მონდი“ იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ინდოჩინეთისათვის ამერიკის თვითმფრინავებისათვის ყველა საჭირო სათადარიგო ნაწილი. შემდეგ „მონდი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის საწყობები და ბაზები ფილიპინებზე და იაპონიაში დათმობილი აქვთ ამ მიზნით იმ ხელისუფალთ, რომლებიც საავიაციო მასალებს გზავნიან ინდოჩინეთში.

ამერიკის სამხედრო სარდლობამ ინდოჩინეთში გაგზავნა სატრანსპორტო თვითმფრინავების კიდევ ერთი პარტია.

პაციფისტთა მსოფლიო კონფერენცია იაპონიაში

შანხაი, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, იაპონიაში გრძელდება პაციფისტთა მსოფლიო კონფერენცია, რომელიც 1 აპრილს გაიხსნა და რომლის სხდომები მიმდინარეობს იაპონიის უდიდეს ქალაქებში. კონფერენციის სხდომები უკვე გაიმართა ტოკიოში, ფუკუოკაში, ხიროსიმასა და ოსაკაში.

12 აპრილს კონფერენციის მონაწილეებმა ხიროსიმაში მოიწონეს დეკლარაცია, რომელიც მოითხოვს უთუოდ აიკრძალოს ატომური იარაღი და დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვისადმი.

14 აპრილს კონფერენციის სხდომები გადაატანეს ოსაკაში. პირველ სხდომაზე კონფერენციამ განიხილა საკითხი და მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ საჭიროა მრეწველობის მშვიდობიანი დარგების ყოველი ღონისძიებით განვითარება და გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. კონფერენცია მუშაობას განაგრძობს ნაგოიაში.

ნერუს განცხადება ინდოეთში უცხოეთის სამფლობელოების შესახებ

დელი, 16 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ პარლამენტის სახალხო პალატაში გამოვიდა და მოუწოდა პორტუგალიას გაიყვანოს თავისი ჯარები გოადან.

შეეხო რა პორტუგალიის პრემიერ-მინისტრის განცხადებას, გოას ტერიტორია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სფეროში შედისო, ნერუმ თქვა: ინდოეთის მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ ინდოეთი, არის რა სუვერენული სახელმწიფო, შეუძლებელია შეიბოჭოს რაიმე საერთაშორისო ან რეგიონალური ხელშეკრულებით, რომელშიც იგი არ მონაწილეობს.

ამ ტერიტორიის გამოყენებას უცხოეთის სახელმწიფოთა ბაზის სახით, ხაზგასმით აღნიშნა ნერუმ, ინდოეთის მთავრობა მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ზეგავლენა საფრანგეთზე

ეიზენჰაუერის წერილი დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრებისადმი

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წერილით მიმართა დასავლეთ ევროპის იმ ექვსი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დაპროექტებულ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“ (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი და დასავლეთი გერმანია).

წერილიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უაღრესად დაინტერესებული არიან ამ „გაერთიანების“ შექმნით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქვეყნები „მალე დათანხმდებიან“ ამაზე, რომ შეიქმნას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰპირდება მათ, რომ ამერიკის ჯარები განუსაზღვრელი ვადით მოახდენენ მათი ტერიტორიის ოკუპაციას.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული არა აქვთ ხელი შეუწყონ გერმანიის გაერთიანებას, პირიქით, ისინი დასავლეთ გერმანიის ოკუპაციით ცდილობენ მუდმივი გახადონ გერმანიის გათიშვა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი წერს, რომ წერილის მიზანია „დაჯეროს საფრანგეთი“ დაამტკიცოს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულება.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

კუიბიშევი. 15 აპრილი. აქ გაიმართა სსრ კავშირის 1954 წლის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და მინსკის „სპარტაკის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა კოლექტივის გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

კიევი. 16 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა“ მესამე შეჯიბრება გამართა კიევში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა მოსკოვის „სპარტაკის“ გამარჯვებით 4:2.

ხარკოვი. 16 აპრილი. ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა კოლექტივი შეხვდა ხარკოვის „ლოკომოტივს“. შეჯიბრების ანგარიშია 2:1 „ზენიტის“ სასარგებლოდ.

„ბ“ კლასი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების პირველი ასპარეზობა. თამაშობდნენ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და ალმა-ატის გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1:1.

ნეკროლოგი

ვანიონ დარასელი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საბჭოთა დრამატურგი ვანიონ (ალექსანდრეს) ძე დარასელი. ავად